# ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

13 ნოემბერი, ოთხშაბათი, 1991 წ.
№ 215-214 (10 627) ● ფასი 10+20 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროში

გაიმართა სამინისტროს კოლეგიის პირველი სხდომა და დაიწყო ახალი ეტაპი რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის ერთობლივი ისახის ცხოვრებაში.

ნიშანდობლივია, რომ კოლეგიის პირველმა სხდომამ, პირველ საკითხად, განიხილა საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის კანონის პროექტი. ხანგრძლივი მსჯელობისა და შესწორებების შეტანის შემდეგ, პროექტი დამტკიცდა საძიებოვო ორგანოებში შემდგომი განხილვისათვის წარსადგენად.

ძველი სისტემების მოშლა თავისთავად მოითხოვს ახლისა და პროგრესულის შექმნას. კოლეგიამ მიიღო დადგენილება, რომელიც ახალ მიმართულებას სახავს რესპუბლიკაში სპორტის სახეობების განვითარებისა და სპორტული კლუბების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, ხოლო შრომით ვალდებულებებს მოაწესრიგებს დადგენილება რესპუბლიკის სპორტულ ფედერაციებსა და ნაკრები გუნდების წევრთა, მწვრთნელთა და სხვა სპეციალისტთა შორის ხელშეკრულებების გაფორმების წესის თაობაზე. მეტად საყურადღებო სახელმძღვანელო დოკუმენტია მიღებული, აგრეთვე, საზღვარგარეთ სამუშაოდ საქართველოს ნაკრები გუნდების სპორტსმენთა და მწვრთნელთა მივლინების პირობებისა და კონტრაქტის გაფორმების წესებთან დაკავშირებით.

ადრე მუდამ დავას იწვევდა სპორტსმენთა გადასვლა ერთი რესპუბლიკური სპორტული საზოგადოებიდან (კლუბიდან) მეორეში, ახლა ეს საკითხიც მოწესრიგდება შესაბამისი დადგენილებით.

ამიერიდან, კოლეგიის გადაწყვეტილებით სამოქმედოდ არის შემოღებული რესპუბლიკის ქრონიკული ნაკრები გუნდის დროებითი შტატები, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 24 ივლისის № 584 დადგენილებას ეყრდნობა.

კოლეგიამ დაამტკიცა სამინისტროს ქვედანაყოფების დებულებები: საქმეთა მმართველობისა, კომერციულისა და სამეურნეო ურთიერთობების, სასტუმროებისა და ექსპლოატაციის, ინფორმაციისა და რეკლამის, სპორტის, მშენებლობისა და ნაგებობათა სამმართველოებისა. დამტკიცდა, აგრეთვე, სამინისტროს ცალკეული სამსახურების ინსტრუქციები.

კოლეგიამ მოისმინა 1991 წლის 10 თვეში მომსახურების მოცულობისა და საქონელბრუნვის გეგმების შესრულების ინფორმაცია.

განხილულია, აგრეთვე, რესპუბლიკაში სპორტისა და ტურიზმის შემდგომი განვითარების სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

კოლეგიამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრად დაამტკიცა თენგიზ ზახვა.



მაია ჩიბურდანიძე:

# „ახალ ჩემპიონს არ გავმარჯვებ, მე წავაგე მატჩი"

დამარცხება შეიძლება იყოს მოულოდნელიც, გაუთვალისწინებელიც და გათვალისწინებულიც, უშეღავათო ბრძოლის შედეგიც, ტაქტიკურიც, მეტოქის სისუსტით გამოწვეულიც... ერთი სიტყვით, მრავალნაირი.

როგორ შეიძლება აიხსნას ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე მანილაში გამართული მატჩის შედეგი?

მაია ჩიბურდანიძეზე უკეთ, ცხადია, ამ და სხვა ჩვენთვის საინტერესო კითხვებს ვერავინ უპასუხებდა.

● **თქვენმა მარცხმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ერთმანეთში აირია ჭორი და სინამდვილე, ცალკე ცენტრალურმა გაზეთებმა გამოჩხრიკეს ბრალდებები...**

— პრესას ჯერ არ გავცნობივარ, მაგრამ რაღაც ხმები ჩემამდეც აღწევს. კარგია, რომ „ლელოს" საშუალებით შესაძლებლობა მეძლევა ვთქვა ის, რასაც განვიცდი და ვფიქრობ.

● **თქვენს და, საერთოდ, ქართულ საჭადრაკო სკოლის გულშემატკივრებს ვერ გაამტყუნებ. ქართველ მოჭადრაკე ქალებს ოცდაათ წელიწადს არ დაუთმიათ პირველობა... „ლელოს" შეკითხვები საზოგადოებრივი აზრის ერთგვარი გამოძახილია. ამიტომ, ზოგიერთი მათგანი პირდაპირი და მწვავეც შეიძლება იყოს. თუ ასეთივე პირდაპირობით გვიპასუხებთ, მადლობელი ვიქნებით.**

— დასამალი არაფერია, მზად ვარ, გიპასუხოთ ყველა შეკითხვაზე.

● **საიდან დავიწყოთ?**

— იქნებ იმ პერიოდიდან, როცა საბერძნეთში, კუნძულ როდოსზე მატჩის გამართვის ადგილის საკითხი წყდებოდა.

● **მაშინ „ლელო" წერდა, რომ ფიდეს პრეზიდენტმა კამპომანესმა მატჩთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსალაპარაკებლად თბილისში ჩამოსვლაზე დიპლომატიური უარი განაცხადა. პრეზიდენტმა როდოსზე მიგიწვიათ.**

— დიახ, იქ, ფიდეს ალმასკომის სხდომაზე საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო, სად გაიმართებოდა მატჩი. არჩევანისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა სურვილს, არამედ საპრიზო ფონდს. კანდიდატურა არავის წარმოუდგენია, და ფიდესაც განსახილველი არაფერი ჰქონდა. შეიძლებოდა, ცხადია, მატჩი ორ ნაწილად ჩატარებულიყო — ორივე მეტოქის ქვეყნებში. ამაზე ჩინეთის მხარე არ დათანხმდა. როცა, არც შეთანხმებაა, არც მატჩის ჩატარების მსურველი ქვეყანა ჩანს, მოქმედებს წესების მესამე პუნქტი — ფიდეს პრეზიდენტი თავად ირჩევს, ვინ უნდა გაუწიოს მასპინძლობა შეჯიბრებას.

● **აქვს თუ არა რაიმე პრივილეგია ასეთ დროს მსოფლიო ჩემპიონს?**

— არავითარი.

● **და კამპომანესმა შემოგთავაზათ, როგორც ადრე ამბობდა, „საიდუმლო ხვლა" — ფილიპინები, თავისი სამშობლო.**

— დიახ, მაგრამ მანამდე ვითომ რაღაც დათმობაზე წავიდა — გვითხრა, თუ ორ დღეში მოძებნით ქვეყანას ევროპაში, რომელიც მატჩის ჩატარებას ისურვებდა, გადროვებთო. ევროპას ჩვენ დაქინებით მოვითხოვდით. ასეთი საკითხის გადაწყვეტა რომ შეუძლებელია ორ დღეში, ცხადია, კამპომანესმა ჩინებულად იცოდა.

● **ეჭვი არ შეგეპარათ კამპომანესის გულწრფელობაში?**

— ვფიქრობ, ეს ვარიანტი მან ხელოვნურად გამოიგონა, გვაიძულა, მის სურვილს დავყოლოდით.

● **განა არ შეიძლებოდა, უფრო კატეგორიულად მოგეთხოვათ თქვენი ინტერესების დაცვა?**

— მოვითხოვეთ, ნაცვლად ორისა, ათი დღე, მაგრამ უარი მივიღეთ. საქმე ის გახლავთ, რომ იურიდიულად კამპომანესი მართალი იყო. სხვათა შორის, შეჯიბრების დასურვისას, ფილიპინების სპორტის მინისტრს წამოსცდა, რომ ჯერ კიდევ მარიჩ-სიე ჯუნის მატჩიდან იყო ლაპარაკი მანილაში ფინალის გამართვის თაობაზე. ესეც კიდევ ერთი სამხილი!

● **ამბობენ, რომ თქვენ სათანადოდ არ იყავით მომზადებული სიე ჯუნთან მატჩისთვის, ჯეროვნად არ აფასებდით მის შესაძლებლობებს.**

— მე ვიცოდი, რომ სიე ჯუნი ნიჭიერი მოჭადრაკეა, გულდასმით ვემზადებოდი ჩეხოსლოვაკიაში, კარლოვი-ვარში, იქ ფირმა „გიორგიამ" მომიწყო შეკრება, დიდად მეხმარებოდა მზადებაში ჩვენი სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო, ფედერაცია, სპორტსაზოგადოება „დინამო", შეკრება მქონდა ქობულეთში, სადაც სპარინგ-პარტნიორი ფროლოვიც ჩამოვიყვანე. მატჩის წინ კარგად ვითამაშე ტურნირი უცხოეთში. ერთი სიტყვით, ჩინებულ ფორმაში ვიყავი.

იხ. გვ. 2 გვ.

# მწვერვალთა ახალი სახელწოდებანი

ამას წინათ გამოვაქვეყნეთ ცნობა იმის თაობაზე, რომ კავკასიონის მწვერვალ „კომკავშირელს" გადაერქვა სახელი და ეწოდა „ბორის კახიანი".

არის სხვა ცვლილებებიც. მწვერვალ „პიონერთა სასახლეს" დაერქვა „დედოფალ ნანას" სახელი, ხოლო მწვერვალ „გამარჯვების პიკს" ეწოდა „მეფე მირიანის" სახელი.

ვინ იქნება სიე ჯუნის მეტოქე?

# ლიდერობს ნონა

**მსოფლიოს** ხუთგზის ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის მიერ მანილაში ტიტულის მოულოდნელმა დაკარგვამ ახალი ამოცანები დაუსახა საქართველოს მოჭადრაკე ქალებს — გაათკეცებული ენერგიით იბრძოლონ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის საქართველოში დასაბრუნებლად, მანამდე კი, ორი წლის მანძილზე, მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დარჩება წლევანდელ მატჩში სიე ჯუნის გამარჯვების ნიშნად.

დიახ, ორი წელი გარანტირებული აქვს ჩინეთს, აზიის კონტინენტიდან პირველ ქვეყანას, ითვლებოდეს ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის სამშობლოდ. ორი წლის მერე ჭადრაკის სამყარო გახდება მოწმე ახალი მატჩისა, რომლის, ერთი მონაწილე ცნობილია — ესაა ახალგაზრდა გვირგვინოსანი, პეკინელი სტუდენტი სიე ჯუნი. მეორე მონაწილე უნდა დაასახელოს საზონათშორისო და პრეტენდენტთა ტურნირებმა, რომლებიც მანამდე მოეწყობა, სულ კი უკვე შერჩეულია 40 პრეტენდენტი, ისინი, რომელთაც საზონათშორისო ასპარეზობაში გამოსვლის უფლება მოიპოვეს სხვადასხვა შეჯიბრებაში.

სწორედ ასეთი საზონათშორისო ტურნირი დაიწყო იუგოსლავიის ქალაქ სუბოტიცაში. იქ 40 მონაწილე შვეიცარიული სისტემით ცამეტ ტურად გაითამაშებს იმ 6 საგზურს, რომლებიც პრეტენდენტთა ტურნირში გამოსვლის უფლებას იძლევა, მერე, პრეტენდენტთა ტურნირში ექვსეულს დაემატებიან აწ უკვე მსოფლიო ექს-ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და პრეტენდენტთა წინა შეჯიბრების ფინალისტი იუგოსლაველი ალისა მარიჩი. რვათა ეს შეჯიბრება მინიმუმამდე შეამცირებს სიე ჯუნის მეტოქეთა რიცხვს.

მაინც რა ცნობებს უნდა ველოდოთ სუბოტიციდან, ვის ვუქომაგებთ ქართული ჭადრაკის მოყვარულები, ვინ აცხადებს ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოპოვების პრეტენზიას?

პირველ ყოვლისა, ესენი არიან ჩვენი თანამემამულენი, ოთხი თბილისელი დიდოსტატი, მსოფლიოს ასევე ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის მეთაურობით. ნანა იოსელიანი, რომელიც უკვე მონა-

იხ. გვ. 2 გვ.

## დავით გორდელაძე — „ვერის თასის" მფლობელი

**8-9 ნოემბერს** თბილისში ჩატარდა „ვერის თასის" გათამაშება ნარდში.

ტურნირში მონაწილეობდა 40 თბილისელი მონარდე.

პირველი ადგილი, თასი და ფულადი ჯილდო მოიპოვა ინსტიტუტ „ჰიდროთევზპროექტის" უფროსმა ინჟინერმა დავით გორდელაძემ.

# მეხი მოწმენდილ ცაზე

**„XX საუკუნის შავმა ჭირმა"** — შიდსმა უკვე იმსხვერპლა ბევრი ამერიკელი სპორტსმენი, მათ შორის, სახელგანთქმულნიც — „ვაშინგტონ რედსკინსის" ფეხბურთელი ჯერი სმითი (1986 წელს), აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების ყოფილი წევრი, ათჯიდელი თომას უოდელი (1987), მსოფლიო ექსჩემპიონი მსუბუქ წონაში, პროფესიული მოკრივე ესტებან ლე ხესუსი (1989) და ავტომობილისტი ტიმ რიჩმონდი (1989). ახლა ტელეგრაფმა ახალი, თავზარდამცემი ამბავი მოიტანა, რომელიც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა — შიდსის ვირუსითაა დაავადებული პროფესიული კალათბურთის სუპერვარსკვლავი, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი ირვინ „მეჯიკ" ჯონსონი.

— შიდსის ვირუსის მატარებელი ჯერ კიდევ არ ითვლება ამ სენით დაავადებულად — განაცხადა „მეჯიკის" პირადმა ექიმმა მაიკლ მელმანმა — ამიტომ, ჩემი პაციენტი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებს. სხვათა შორის, ჯონსონმა სწორედ ამ მიზნით დაანება თავი კალათბურთს. ოპტიმისტურადაა განწყობილი ჯონსონის მეუღლე ელეტ კელი, რომელმაც კატეგორიულად უარყო მეუღლის წინადადება გაყრის თაობაზე, იგი ამბობს, რომ მხარში ამოუდგება ქმარს და საერთო ძალით შეებრძოლებიან ამ საშინელ სენს. სპორტსმენს თანაგრძნობა გამოუცხადეს აშშ-ის მთავრობის წევრებმა, პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, თვით პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმაც კი.



**სურათზე:** ირვინ „მეჯიკ" ჯონსონი.



ჭიდაობა სუმო იაპონიაში პირველი საუკუნიდან დამკვიდრდა. თავდაპირველად იგი რელიგიური რიტუალი იყო და მხოლოდ მერე გახდა ძალისა და უნარის სახეობა.

პროფესიონალ სუმისტთა შეხვედრები, როგორც წესი, ქვიშის რინგზე ეწყობა. მეტოქეები ჯერ ესალმებიან ერთმანეთს, მერე წყალს ივლებენ პირში და ქვიშაზე ყრიან მარილს. ეს რიტუალი სრულ განწმენდას ნიშნავს...

სუმოს მიზანია ან მეტოქის გაგდება რინგიდან, ან მისი დანარცხება მიწაზე სხეულის ნებისმიერი ნაწილით. უმაღლესი კლასის მოჭიდავეს „ეკოძუნა" ქვია. პროფესიონალი სუმისტები უსათუოდ საშუალოზე მაღალნი უნდა იყვნენ. მათი წონა, ტრადიციულად, 100-140 კილოგრამის ფარგლებში მერყეობს.

სურათზე ილუსტრებულია ქალაქ ნაგოიას 15-დღიანი ტურნირის მონაწილეთა შეხვედრის ფრაგმენტი. რინგზე არიან პიროშიმო (მარცხნივ) და ტაკანოფუჯი.

# „ახალ ჩემპიონს არ გაუმარჯვია, მე წავაგე მატჩი“

(დასასრული)

განსაკუთრებით მადლობელი ვარ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, რომელიც ყველანაირად დამეხმარა.

**● სიე ჟუნის პარტიებს იცნობდით?**

ყველა პარტია ძნელი მოსაპოვებელია. შვეიცარიიდანაც კი გამოვიწერე ზოგიერთი. აზია, მით უფრო, ჩინეთი, ცხადია, ხელს არ გვიმართავდა ამ საქმეში.

**● ხომ არ ფიქრობთ, რომ შეცდომა დაუშვით, რაკი ქართველი მწვრთნელი არ აიყვანეთ?**

— არა, ამას შეცდომად არ ვთვლი. კუზმინთან დიდი ხანია ვთანამშრომლობ — ახლა მსოფლიო პირველობის მეოთხე მატჩზე მახლდა. ჩესკოვსკიც კარგი სპეციალისტია, მე მათი მჯერა და უნდობლობისთვის არავითარი საბაბი არა მაქვს. ქართველ მწვრთნელთაგან ადრე, მზადების პერიოდში, არავის შემოუთავაზებია ჩემთან მუშაობა. ახლა, სხვა რომ არაფერი, უხერხულიც იქნებოდა ძველი მწვრთნელებისათვის უარის თქმა.

**● გამოდის, რომ ყოველგვარ ვეჭვსა და ლალატს გამორიცხავთ...**

— ამის გაფიქრებაც არ მინდა, ჰორია ყველაფერი, თუ რამეს ამბობენ. მეც გავიგე...

**● ხარემ აქვე გკითხავთ, მიუხედავად შედეგისა, მიიღებენ თუ არა მწვრთნელები მათთვის ადრე დაწესებულ თანხას?**

— ეს თანხა მოსამზადებელ პერიოდში გაწეული მუშაობის გასამრჯელოა და მატჩის შედეგთან კავშირი არა აქვს.

**● მოგეხსენებათ, უმიზეზოდ არაფერი ხდება. რას გვეტყვით, მაინც რამ განაპირობა მატჩის ასეთი, ბევრის აზრით, მოულოდნელი დასასრული?**

— უჩვეულო და თითქმის აუტანელმა ბუნებრივმა... კლიმატმა, მატჩის რეგლამენტმა, შეჯიბრების პირობებმა, საერთო ატმოსფერომ, რომელიც აშკარად ჩინელ მოჭადრაკეს უწევდა კარგ სამსახურს.

**● კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— ნესტიანმა ჰავამ, სიცხემ, მთელი ორმოცი დღე კონდიციონერიან ბინაში გამოგვკეტა. ყველა ალიარებდა, რომ ასეთ პირობებში, გონებრივად მომუშავეს დიდი დრო ესაჭიროება სრული აკლიმატიზაციისთვის.

გაგვაოცა უჩვეულო რეგლამენტმა, ტაიმ-აუტი შეცვლილა იმით, რომ შეიძლებოდა მხოლოდ პარტიის გადადება. რეგლამენტი ასეთი იყო: პარტია — გადადებული პარტიის დამთავრება — პარტია. ფაქტობრივად, ყოველ მეორე დღეს ვთამაშობდით. მსოფლიო პირველობის ყველა მატჩში, ვაჟებშიც და ქალებშიც, კვირაში თამაშდებოდა სამი პარტია, მეშვიდე დღე — დასვენება და სამ-სამი ტაიმ-აუტი, ახლა კი...

ვთამაშობდით ჰოლში, იმავე სასტუმროში, სადაც ვცხოვრობდით, მაყურებელს ოთხი-ხუთი მეტრით ვიყავით დაშორებული, სცენაც არ იყო. დარბაზში ჩინელები ჭარბობდნენ, ჩვენს ამალაში სულ ორი ქართველი იყო — დედაჩემი და რამაზ გოგლიძე.

**● რეგლამენტი თქვენთანაც ხომ იყო შეთანხმებული, თავიდან არ გამოგითქვამთ პროტესტი?**

— არ ყოფილა შეთანხმებული. მანილაში ფაქტის წინაშე დამაყენეს. პროტესტი, რა თქმა უნდა, გამოვთქვი, მაგრამ კამპომანესმა მიპასუხა და საბუთიც მაჩვენა — ორი თვის წინათ რეგლამენტი გავაგზავნეთ საკავშირო ფედერაციაში და სპორტსახკომში, თუ თანახმა არ იყავით, რატომ არ გვაცნობეთო.

**● გამოდის, რომ მოსკოვმა დამალა რეგლამენტის პირობები...**

— ასე გამოდის, მაგრამ ვისთან გინდა გაირკვეს სამართალი. ამგვარი უსიამოვნო ამბებით დაიწყო მატჩი.

**● საქართველოდან თქვენს დელეგაციაში შედიოდნენ დედათქვენი, რამაზ გოგლიძე და ორი მწვრთნელი, სულ ეს იყო?**

— თითო ადგილი რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს წარმომადგენელთათვის და ჟურნალისტისთვის, იყო გამოყოფილი. მატჩის მეორე ნახევარში, მანილაში მინისტრის მოადგილე ჯანსუღ ბაგრატიონი ჩამოვიდა.

**● რამაზ გოგლიძის ჩართვა თქვენს ამალაში რით იყო გამართლებული?**

— მე ჯერ კიდევ ივლისში მოვითხოვე გოგლიძის ჩემს ბანაკში ჩარიცხვა. იგი ადრე საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა, კარგად ვიცნობ, ლევიტინასთან მატჩის წინ დიდი დახმარება გამიწია, ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს კამპომანესთან, ასეთი გავლენიანი და ენის მცოდნე ორგანიზატორი აუცილებლად გვჭირდებოდა მანილაში.

**● მოსკოველები როგორღა აღმოჩნდნენ თქვენს ამალაში?**

— მე მათთან არავითარი ურთიერთობა არ მქონია, არც მანილაში მათ გამგზავრებაზე ვიცოდი რაიმე. შემდეგ გაირკვა, რომ ისინი კამპომანესს პირადად მიუწვევია მატჩზე.

**● როცა საქმე ცუდად წავიდა, შეიქმნა აზრი, რომ დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე სასწრაფოდ გამოეგზავნათ მანილაში თქვენს დასახმარებლად. ხმები გაიყო, „ლელოც“ მხარს უჭერდა იმ აზრს, რომ ფიდესთან შეუთანხმებელ ნაბიჯს, შეიძლება, აურზაური გამოეწვია, განსაკუთრებით, მოწინააღმდეგის ბანაკში. თქვენ როგორ ფიქრობთ, იყო საჭირო დახმარება?**

— ბუხუტი გურგენიძის ჩამოსვლა არაფრით არ იქნებოდა გამართლებული. ეს ჩემს მწვრთნელებში გამოიწვევდა უნდობლობას, უფრო დაძაბავდა სიტუაციას და მე შემიშლიდა ხელს, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ ნაბიჯს უთუოდ მოჰყვებოდა სკანდალი.

**● დავუბრუნდეთ მატჩს, თქვენ თქვით, რომ სიე ჟუნს არ გაუმარჯვია, მატჩი თქვენ წააგეთ, მაინც როგორი იყო ეს წაგება?**

— ყველა მარცხი, თუ ის ტაქტიკური მოსაზრების შედეგი არ არის, მწარე განსაცდელია. რა თქმა უნდა, ძალიან მინდოდა შემენარჩუნებინა მსოფლიო ჩემპიონობა და გამეხანგრძლივებინა ჩვენი ბატონობა ქალთა საჭადრაკო სამყაროში, მაგრამ, იმ მიზეზების გამო, რომელთა შესახებაც უკვე ვისაუბრეთ, თვით მეტოქის შესანიშნავი საბრძოლო თვისებების, გნებავთ, მისი ნიჭიერებისა და ჩემი სისუსტის გამო, მატჩის გადარჩენა ვერ შევძელი.

**● რა სისუსტეზე ლაპარაკობთ?**

— თუნდაც ფიზიკურზე და თუნდაც... იცით, ისეთი დაჩლუნგებული არასოდეს ვყოფილვარ, როგორიც ამ მატჩში. ვიმეორებ, ამის ძირითადი მიზეზი იყო ჰავა და ჩემთვის უჩვეო საერთო ატმოსფერო.

**● სიე ჟუნი კარგად იცნობდა თქვენს პარტიებს?**

— ჩინებულად. გამარცა იმან, რომ ათი-თერთმეტი პარტია სრულიად ახალი სისტემით გავითამაშე და უცხო არც ეს გამოდგა მეტოქისათვის. დავიწყებდი თამაშს, ხუთ წუთში მიპასუხებდა ჩემს ჩანაფიქრზე, ილებდა მშვენიერ პოზიციას და ჩემი შრომა წყალში იყრებოდა.

**● სიე ჟუნი არ მალავდა, ადრევე აცხადებდა, ბრწყინვალედ ვარ მომზადებული, ჩვენი შანსები თანაბარია, მაგრამ ყველაფერს ვიღონებ, რომ მატჩი მოვიგოო...**

— ჩვენი სპეციალისტები მეუბნებოდნენ, რომ პარტიებს ვთამაშობდი პირველი თანრიგოსნის დონეზე. სიე ჟუნი კი ოსტატობის კანდიდატის დონეზე. ეს საბოლოო შედეგშიც აისახა. სხვათა შორის, ჩვენი მატჩის წინ ჩინელ მოჭადრაკეს მანილაში უთამაშია ვაჟთა ტურნირში, არასახარბიელოდ, მაგრამ, მთავარი ხომ „აკლიმატიზაცია“ იყო.

**● ამბობენ, რომ ჩინელმა მაყურებლებმა შესაძლოა, ზემოქმედება მოახდინეს თქვენზე დარბაზში...**

— არ მინდა ეს დავიჯერო. ასეთი რამ საბუთად მხოლოდ იმან შეიძლება მოიშველიოს და თქვას, ვინც მარცხის გასამართლებლად რაიმე უსუსურ მიზეზს ეძებს. მე არ ვეძებ მიზეზებს.

**● ეს უკვე მომავლის რწმენას ნიშნავს...**

— რატომაც არა!

**● თქვენ ფიქრობთ, რომ მალე დაიბრუნებთ ტიტულს?**

— არც იმას ვფიქრობ, რომ სამუდამოდ დავკარგეთ. მე თუ არა, სხვა ნიჭიერი ქართველი ავა ისევ დედოფლის ტახტზე, ოღონდ, მომავალი მატჩი არამც და არამც აზიაში არ უნდა ჩატარდეს.

**● ახალი ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირი უკვე დაიწყო...**

— მატჩი დაძაბული იყო და ცოტას დავისვენებ. მერე პრეტენდენტთა ტურნირისათვის დავიწყებ მზადებას. ახალი ციკლი ხომ ორწლიანია. საზონათშორისო ტურნირებში გამარჯვებულებს მე და მარიჩი დავემატებით და ორ წრედ გავითამაშებთ თოთხმეტ პარტიას. აქ პირველ და მეორე ადგილებზე გასულები ჩაატარებენ პრეტენდენტთა ფინალურ მატჩს. გამარჯვებული კი ახალ ჩემპიონთან სათამაშოდ მიუჯდება საჭადრაკო მაგიდას.

**● კამპომანესმა ტელექსით აცნობა ჩვენს სამინისტროს, რომ ქართველი მოჭადრაკეები მანილაში ჩვენი დელეგაციის, პირადად თქვენი და მინისტრის მოადგილის ჯანსუღ ბაგრატიონის მცდელობით, ფიდეს დროშით ითამაშებდნენ საზონათშორისო ტურნირს. ეს ასეც მოხდა. რა იყო ეს — მატჩის წაგების შემდეგ კამპომანესის მხრიდან ერთგვარი მორალური კომპენსაცია და თანაგრძნობა?**

— კამპომანესის დიპლომატიური სვლები ყველასთვის ცნობილია, რაღაც ალბათ, მართლაც იყო.

**● თქვენ აქედან იმ განწყობით წახვედით, რომ საბჭოთა კავშირის დროშით არ ითამაშებდით. რას მოითხოვდით?**

— საქართველოს სახელითა და დროშით გამოსვლას. მაგრამ ვერ შევთანხმდით. გვითხრეს ის, რაც ჩვენც კარგად ვიცოდით — თქვენი ქვეყანა ფიდეს წევრი არ არისო. ბოლოს გადაწყდა — საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დროშებით ვითამაშებდი. ეს მოთხოვნა რომ დააკმაყოფილეს, ამაში დიდია რამაზ გოგლიძის წვლილი. სსრ კავშირის დროშა ფედერაციის სიმბოლო იყო, საქართველოსი ჩემი სამშობლოსი.

**● ორი ქვეყნის დროშებით თამაში უცნაურად ხომ არ მოეჩვენათ?**

— მატჩს მივატოვებდით.

**● მაია, თუ უხერხული არ არის, საპრიზო ფონდზე რას გვეტყვით, კამპომანესი ხომ სწორედ ფილიპინების მიერ დაწესებული საპრიზო ფონდით შეეცადა მოეხიბლა მეტოქეები...**

— 100 ათასი დოლარი იყო დაწესებული — გამარჯვებულისთვის 62,5 ათასი, მეორე პრიზიორისათვის — 37,5.

**● თანხა ხელიდან ხელში სრულად გადადის?**

— არა, უცხოეთში დაქვითვის მკაცრი სისტემაა. პირადად მე საქველმოქმედო მიზნისათვის გადავრიცხე სოლიდური თანხა. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ფულს ... ლზე არ იძლევიან.

**● ბოლო შეკითხვა. როგორ ფიქრობთ, გაკეთდა თუ არა ყველაფერი საქართველოში, რომ მატჩის ბოლოო შედეგი დასანანი არ ყოფილიყო?**

— ყურადღება არ მაკლდა. მანილაში გამგზავრების წინ, მიუხედავად მოუცლელობისა, რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მიმიღო, გზა დამილოცა და წარმატება მისურვა, სამწუხაროა, რომ ნდობა ვერ გავამართლე. სადღაც, ზურგს უკან, როგორც ... ლა ირკვევა, შესაძლოა, რაღაც ... ტრიგები იხლართებოდა. ეს კარგი გაკვეთილი იქნება ჩვენთვის.

**● რაკი სიტყვამ მოიტანა, იძულებული ვარ, კიდევ ერთი შეკითხვა დაგისვათ: როდესაც კამპომანესმა ულტიმატუმი წამოგვაყენა და „საიდუმლო სვლა“ შემოიტანა, ვითომ სათადარიგოდ, ფიდედან გამოგზავნილი რეგლამენტი მოსკოვმა გადამალა, თუმცა, მისი გამოგზავნა, თუნდაც პარალელურად თბილისშიც შეიძლებოდა, კამპომანესი საკავშირო სპორტსახკომისა და ფედერაციის ხუთ წარმომადგენელს პირადად იწვევს მატჩზე — ეს ის ფაქტებია, რაც ხილულია და ბევრიც რომ მოისურვოს ვინმემ, ვერ მიჩქმალავს, მაგრამ რაც უხილავად ხდებოდა...**

**როგორ ფიქრობთ, თუნდაც ამ სახის ფაქტების შემდეგ, ხომ არ შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა ფიდეს პრეზიდენტსა და ცენტრს შორის ალიანსის შესახებ?**

— ფაქტების ანალიზი შეიძლება მართლაც იძლევა დაფიქრების საბაბს. სამწუხაროა, რომ ზოგჯერ სპორტი არ არის დაზღვეული ბინძური პოლიტიკისაგან.

ესაუბრა თენგიზ ბაჩილაძე.

# ლიდერობს ნონა

(დასასრული)

წილეობდა გადამწყვეტ მატჩში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის (ეს იყო 1988 წლის სექტემბერ-ნოემბერში, მაგრამ მაია ჩიბურდანიძესთან დავაში ვერ მიაღწია მიზანს). სხვადასხვა დროს მსოფლიო ჩემპიონები გოგოებს შორის, ორი ქეთევანი — არახამია და კახიანი.

იოსელიანსა და კახიანს სუბოტიცაში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე შევხვდით თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ საქართველოს რესპუბლიკის პირველი სპორტული თამაშების დამთავრებისადმი მიძღვნილ საღამოზე. ისინი იქ ნონასთან, ნანა ალექსანდრიასთან, ზურაბ აზმაიფარაშვილთან ერთად მოვიდნენ ერთდროული თამაშის სეანსში მონაწილეობის მისაღებად. ორივე შესანიშნავ განწყობაზე იყო.

— ახლა განსაკუთრებული შემართებით გვმართებს ბრძოლა. ჩვენს რესპუბლიკას აღარ ჰყავს ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი. შეწყდა ჩვენების ოცდაათწლიანი ჰეგემონობა. არაფერი უნდა დავზოგოთ, რომ ეს ტიტული 1993 წლიდან ისევ საქართველოში დაბრუნდეს. ახლა აღარ აქვს მნიშვნელობა, ვინ მოიპოვებს ამ წოდებას ქართველთა კვარტეტიდან, — გვეუბნება ნანა იოსელიანი.

— ნონას, ნანას, ქეთევანს უთუოდ შესწევთ იმ ტიტულისთვის ბრძოლის უნარი რისთვისაც იუგოსლავიას მივემგზავრებით. არც მე ვაპირებ იქ სასეიროდ წასვლას. საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს სუბოტიცაში: ალისა გალიამოვა-ივანჩუკი ბელორუსიიდან, ფრუნზელი სვეტლანა მატვეევა, ბაქოელი აინურ სოფიევა, ნოვოსიბირსკელი იულია დიომინა, იუგოსლაველები ვესნა ბაშაკიჩი და მირონა მარიჩი — ალისა მარიჩის უმცროსი და, ჩინელი პენ გი, უნგრელი ილდიკო მადლი... ყველას ვერც ჩამოთვლი. — გვითხრა ქეთინო კახიანმა.

**სუბოტიცაში უკვე გათამაშდა ოთხი ტური. ერთპიროვნულად ლიდერობს ნონა გაფრინდაშვილი — მას ოთხი შესაძლებლიდან 3,5 ქულა აქვს. ნანა იოსელიანმა სამი ქულა მოაგროვა და ლიდერთა შორისაა. ქეთინო კახიანის მაჩვენებელია 2,5 ქულა, ქეთევან არახამიასი — 2 ქულა.**

# შანსი ყველას გააჩნია...

**ფოთი. 12 ნოემბერი. (ტელეფონით).** კოლხეთის ამ ზღვისპირა ქალაქს კვლავ ხვდა წილად საინტერესო ტურნირის მასპინძლობა. აქ შეიკრიბნენ ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე ვაჟები (უმაღლესი ლიგა). გათამაშებაში სხვადასხვა საპატიო მიზეზთა გამო, არ მონაწილეობენ ზურაბ აზმაიფარაშვილი, ზურაბ სტურუა, ლაშა ჯანჯღავა... მაგრამ შეჯიბრებისადმი ინტერესი მაინც დიდია: ასპარეზობას საკმაო საპრიზო ფონდი აქვს — 15000 მანეთი. ჩემპიონი ამ თანხის მესამედს მიიღებს, მეორე პრიზიორი — 4000 მანეთს და ა. შ. ასე რომ, იმ თანხას I–V ადგილებზე გასულნი გაინაწილებენ. ამას გარდა, ყველა მოასპარეზეს გადასცემენ 300-300 მანეთს. რაც მთავარია, პირველად, ჩვენი ჭადრაკის ისტორიაში, ჩემპიონატი ჩატარდება ფიდე-ს რეიტინგით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველას ეძლევა შანსი, აიმაღლოს საკუთარი რეიტინგი. შეჯიბრება საერთაშორისო ფედერაციის IV კატეგორიისაა. ეს ყველაფერი შესანიშნავი სტიმულია შეუპოვარი ბრძოლისათვის.

გულშემატკივრები იხილავენ ორიოდე კვირის წინ წყალტუბოში დამთავრებული საქართველოს სპორტული თამაშების გამარჯვებულის თამაზ ტაბატაძის, მეორე პრიზიორის გივი გოგიჩაიშვილის, სხვა მონაწილეების თამაშს.

მოეწყო ჩემპიონატის საზეიმო გახსნა, წილისყრა. სატურნირო ცხრილში მონაწილენი ასე განლაგდნენ: 1. ქუთაისელი ოსტატი ბესარიონ ხეცურიანი (რეიტინგი 2330), 2. ზუგდიდელი ოსტატობის კანდიდატი ალექსანდრე დგებუაძე (2370), 3. სენაკელი ოსტატობის კანდიდატი დავით ჩაჩიბაია (რეიტინგი არა აქვს); თბილისელი ოსტატობის კანდიდატები: 4. რევაზ კაკაბაძე (0), 5. ზაზა ხოფერია (2350), 6. კახა შალამბერიძე (2330), 7. ფიდე-ს ოსტატი ვარლამ ვეფხვიშვილი (2310), 8. ზუგდიდელი ოსტატობის კანდიდატი გიზო ჭურღულია (2365), 9. თბილისელი ოსტატი გიორგი ბაღათუროვი (2440), 10. ქუთაისელი ოსტატობის კანდიდატი შოთა კუპუხიძე (0); თბილისელი ოსტატობის კანდიდატები: 11. გივი გოგიჩაიშვილი (2420), 12. იანის პოპოვი (0), 13. თამაზ ტაბატაძე (2370), 14. სენაკელი ოსტატი გოჩა ტყებუჩავა (2410).

პირველ ტურში შეხვედრები ასე დამთავრდა: ხეცურიანი — ტყებუჩავა — 0,5:0,5, დაზავდნენ, აგრეთვე, დგებუაძე და ტაბატაძე, კაკაბაძე და გოგიჩაიშვილი, თეთრი ფიგურებით ხოფერიამ დაამარცხა კუპუხიძე, ხოლო, ვეფხვიშვილმა — ჭურღულია. შავი ფიგურებით პოპოვმა მოუგო ჩაჩიბაიას, ბაღათუროვმა — შალამბერიძეს.

გუშინ მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა.

# მოულოდნელობანი სტარტზე

ხუთი ტური ნბა-ს ჩემპიონატში, ფაქტობრივად, სტარტია. და აი, ეს სასტარტო მონაკვეთი ოცდაშვიდი გუნდიდან ვერც ერთმა ვერ განვლო უდანაკარგოდ. მიმომხილველებს ახალი ჩემპიონატის ერთ-ერთ სენსაციად მიაჩნიათ „ფენიქსის“ გამარჯვება „პორტლენდთან“ — 100:76. შარშანდელ ჩემპიონს „ჩიკაგოს“ ვერ უშველა მაიკლ ჯორდანის მაღალმა ოსტატობამაც კი. „მილუოკი ბაქსთან“ შეხვედრაში პროფესიული კალათბურთის სუპერვარსკვლავმა თავის გუნდს 46 ქულა შესწირა, მაგრამ „ჩიკაგო“ მაინც დამარცხდა — 107:109.

„ნიუ-ჯერსისა“ და „შარლოტას“ ორთაბრძოლაში (გაიმარჯვა „ნიუ-ჯერსიმ“ 116:108) თავი გამოიჩინა იუგოსლაველმა დრაჟენ პეტროვიჩმა — 20 ქულა. „შარლოტაში“ ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო შარშანდელი სტუდენტური კალათბურთის ლიდერი ლარი ჯონსონი — 16 ქულა. „ატლანტისა“ და „დეტროიტის“ მატჩში (დეტროიტელებმა სტუმრად მოიგეს 87:85) ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი იყო ატლანტელი დომენიკ უილკინსი — 32 ქულა.

ლიგის ერთ-ერთმა ყველაზე სუსტმა კლუბმა „მაიამიმ“ დაამარცხა „ნიუ-იორკი“ (107:93), რაც მიმომხილველებმა ასევე სენსაციად მიიჩნიეს.

ჯერჯერობით ყველაზე მეტჯერ გაიმარჯვა (5) წყნარი ოკეანის დივიზიონის ლიდერმა „გოლდენ სტეიტ უორიორზმა“ („ოქროს შტატის მეომრებმა“), თანაც „საკრამენტოს“ მოუგო 62 ქულის სხვაობით (153:91). უკეთესი სხვაობა ჰქონდა 1972 წელს „ლოს-ანჯელეს ლეიკერსს“ — 63 ქულა, რაც ჯერჯერობით ნბა-ს რეკორდად ითვლება. „გოლდენ სტეიტის“ შემადგენლობაში დღევანდელი თვის ყველაზე აქტიური კალათბურთელია მარუნას მარჩიულიონისი, რომელმაც „საკრამენტოსთან“ მატჩში გუნდს 27 ქულა შესძინა.

სხვა შედეგები: „დეტროიტი“ — „ვაშინგტონი“ 85:79, „პორტლენდი“ — „ბოსტონი“ 116:90, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ — „მინესოტა“ 96:86.

**ატლანტის დივიზიონი**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| „ნიუ-იორკი“ | 3 | 2 | 600 |
| „ორლანდო“ | 3 | 2 | 600 |
| „ფილადელფია“ | 3 | 2 | 600 |
| „მაიამი“ | 2 | 2 | 500 |
| „ბოსტონი“ | 2 | 4 | 333 |
| „ვაშინგტონი“ | 2 | 4 | 333 |
| „ნიუ-ჯერსი“ | 1 | 3 | 250 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| „დეტროიტი“ | 4 | 1 | 800 |
| „ჩიკაგო“ | 4 | 2 | 667 |
| „მილუოკი“ | 4 | 2 | 667 |
| „ატლანტა“ | 3 | 2 | 600 |
| „ინდიანა“ | 2 | 4 | 333 |
| „კლივლენდი“ | 1 | 4 | 200 |
| „შარლოტა“ | 1 | 5 | 167 |

**შუა-დასავლეთის დივიზიონი**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| „სან-ანტონიო“ | 4 | 1 | 800 |
| „ჰიუსტონი“ | 4 | 1 | 800 |
| „დენვერი“ | 3 | 2 | 600 |
| „იუტა“ | 2 | 3 | 400 |
| „მინესოტა“ | 1 | 4 | 200 |
| „დალასი“ | 1 | 5 | 167 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| „გოლდენ სტეიტი“ | 5 | 1 | 833 |
| „ლ.-ა. კლიპერსი“ | 4 | 2 | 667 |
| „სიეტლი“ | 3 | 2 | 600 |
| „ფენიქსი“ | 3 | 3 | 500 |
| „პორტლენდი“ | 3 | 3 | 500 |
| „ლ.-ა. ლეიკერსი“ | 2 | 3 | 400 |
| „საკრამენტო“ | 2 | 3 | 400 |

რვალი

№13 ნოემბერი 1991

## ინვალიდთა ჩემპიონატი ნარდში

30 ნოემბერს თბილისში, ვერეს ბაღში მდებარე ბავშვთა კალათბურთის სასახლეში ჩატარდება საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი ნარდში ინვალიდთა შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში მცხოვრებ ყველა ინვალიდს, რომელსაც დადგენილი აქვს საინვალიდო ჯგუფი.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფულადი და სამახსოვრო ჯილდოები. აბსოლუტური ჩემპიონი მიიღებს 1000 მანეთს, საპრიზო ადგილებზე გასულნი — სამახსოვრო პრიზებს.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველმა გუნდებმა და ცალკეულმა პირებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ 25 ნოემბრამდე თბილისში, მაჩაბლის ქ. №11 (ტელ.93. 28. 92.).

როგორც ყოველთვის, ამ შეჯიბრების სპონსორია საქართველოს ახალგაზრდული კავშირი.

მაშ, ასე! — იჩქარეთ, 30 ნოემბერს თქვენ საინტერესო შეჯიბრება გელით.

საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაცია

საქართველოს ნარდის ფედერაცია

## „გაჭირვებული რომ გაჭირვებულს დაეხმარება, ეს არის სწორედ უდიდესი მადლი"

საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის წევრებმა კარგად უწყიან, როგორი ენთუზიაზმით, იმედითა და რწმენით შეუდგა საქმიანობას ფედერაციის გამგეობა. მკითხველისთვის ბევრჯერ გვიამბია მისი მოღვაწეობის შესახებ, გაგვიცნია ბევრი მისი საინტერესო ჩანაფიქრი, მოსაზრება, გვისაუბრია იმაზე, რაც ხელს შეუწყობდა ფედერაციის უმთავრესი მიზნის აღსრულებას — ხეიბარ ადამიანთა ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას, შეჭირვებულთა გამხნევებას, მათი სულიერი და ფიზიკური ძალების აღორძინებას. ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ინვალიდს ოთხი კედლის ტყვეობიდან გამოიყვან, საქმეს გაუჩენ და აგრძნობინებ, რომ ის საჭიროა საზოგადოებისათვის. ამიტომაც შეიქმნა სხვადასხვა სპორტული სექცია. სწორედ სექციების ამოქმედებით, ფედერაციის გარშემო ინვალიდთა შემოკრებით უნდა დაძრულიყო ყინულის ლოდი, დაძლეულიყო გულგრილობა, უპასუხისმგებლობა. მაგრამ...

„კი ბატონო, ვიცით, რომ საქართველოს ყველანაირად უჭირს, შეიძლება თქვან კიდეც, რა დროს ინვალიდების პრობლემაა, მაგრამ გაჭირვებული რომ გაჭირვებულს დაეხმარება, ეს არის სწორედ უდიდესი მადლი. აი, ასეთი მადლის შემდეგ იხარებს სიკეთის ხე" — ასე ფიქრობენ ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ძნელაძე და მისი თანამებრძოლები გიორგი შერმადინი, ალეკო მამალაძე, გიორგი ნიჟარაძე, გიორგი კოხრეიძე, გურამ მიქაბერიძე და სხვები.

სექციების ამოქმედებას ვინ დაეძებს, ელემენტარული საკითხიც ვერ გადაწყვეტილა — **ფედერაციას არა აქვს შტაბ-ბინა, დღემდე ვერ გამოიძებნა სულ რაღაც რამდენიმე ოთახი ინვალიდი სპორტსმენებისათვის.**

„ჩვენთვის ბევრჯერ გაუმართავს ხელი მთავრობას. პირადად პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია შეგვპირდა დახმარებას, ჩვენი თანდასწრებით ტელეფონით ელაპარაკა ქალაქის მერს (მაშინ ამ თანამდებობაზე ბ-ნი ანდრიაძე მუშაობდა), რომ უმოკლეს ვადაში გადაეწყვიტათ ჩვენი საკითხი, მაგრამ საქმის შემსრულებელი არავინ აღმოჩნდა".

**ორი თვეა დადიან კაბინეტიდან კაბინეტში ეტლს მიჯაჭვული ადამიანები, მათ შორის რესპუბლიკის ჩემპიონები, საერთაშორისო ტურნირების პრიზიორები.** ქალაქის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში თითქოს ყურად იღეს ინვალიდთა თხოვნა, გამოუყვეს შენობაც, წაიყვანეს, აჩვენეს მარჯანიშვილის ქუჩაზე 44-ე სახლი, რომელიც ადრე საქართველოს მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს ეკუთვნოდა, მაგრამ... ეს შენობა თურმე ერთი თვით ადრე მთავრობას სხვა ორგანიზაციისათვის გადაუცია, ქალაქის მერიას კი ამის შესახებ არაფერი სცოდნია... შემდეგ ინვალიდ სპორტსმენთა ფედერაციას სამმართველომ წერილი გამოუგზავნა (საკითხს აკონტროლებენ), რომელიც არ მიუღიათ, მაგრამ შინაარსი დაახლოებით იციან: ვინაიდან თავისუფალი ფართი არ გაგვაჩნია, სამმართველო თქვენ თხოვნას ვერ შეასრულებს...

„ასეთი წერილი, იცით, რამდენია? თითქმის ყველას ასე ისტუმრებენ... შევცდი, ის მაინც გამეგო, უარყოფილთა სიაში რიგით მერამდენე ვართ", — მწარედ ხუმრობს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გიორგი შერმადინი.

„თუ გული გულობს, ფართობის მოძებნას რა უნდა, იქვე, იმ ეზოში (მარჯანიშვილის ქ.№44) არის ერთსართულიანი დამხმარე ნაგებობა, რომელიც ჩვენ გამოგვადგებოდა. სხვისთვის კი ის დიდი შენაძენი არ იქნება. ეტლით მოსიარულე ინვალიდისთვის ეს შენობა მოსახერხებელია, პირდაპირ ეზოდან შედიხარ ოთახებში, კიბის საფეხურების ავლა არ დაგჭირდება" — გვიხსნის პირველი ჯგუფის ინვალიდი გურამ მიქაბერიძე.

„ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, ისევ შევაწუხებთ პრეზიდენტს, მოვახსენებთ, რომ საკითხი ისევ გადაუწყვეტელია, რომ ჩვენ სულ მალე ქუჩაში აღმოვჩნდებით, — ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაიკარგება კავშირი ინვალიდ სპორტსმენებს შორის, ჩაკვდება მუშაობა, ძლივს გარეთ გამოსული ხეიბარი კი ისევ სახლში შეიკეტება, ჩვენ ამას არ დავუშვებთ!" — ეს არის ფედერაციის პრეზიდენტის მტკიცე გადაწყვეტილება. ამ ბრძოლაში გაზეთი „რვალი", რა თქმა უნდა, მის გვერდით იქნება!

ნაზი აროშიძე

## «ჩვენ მალე ქუჩაში აღმოვჩნდებით»

● კაცი — მაგალითი

## არა ენთუზიაზმითა ერთითა...

**ენთუზიაზმი ლამის არის სალანძღავ სიტყვად გადაიქცეს. ენთუზიასტები კი უაზროდ თავგამოდებულ ადამიანებად მონათლონ. აქაოდა, ეს უზარმაზარი და ჭრელი ქვეყანა ამდენი ხანი ენთუზიაზმით არსებობდა და რაც მოგვიტანა, ყველანი თვალნათლივ ხედავთო. ამ ნათქვამში, რაღა თქმა უნდა, არის სიმართლის წილი, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ენთუზიასტების, შეუძლებელთან შეჭიდების მსურველთა გარეშე სამყაროს ასეთი მომხიბვლელობა ვერ ექნებოდა. სწორედ ენთუზიასტების, ამ მარადიული მეოცნებეების მეოხებით ესხმება ხორცი კეთილშობილურ საქმეებს.**



ერთ ასეთ საქმეს არის შეჭიდებული ვალენტინ ლაბუნსკი, როცა ამ კაცს გაიცნობთ და მოისმენთ, როგორი გატაცებით ლაპარაკობს იგი გონებადაქვეითებულ ბავშვთათვის სპეციალური სპორტული ჯგუფების შექმნის შესახებ, მიხვდებით, რომ საპენსიო ასაკი სულაც არ ნიშნავს სიბერის ასაკს, არ ნიშნავს უხალისო და უინტერესო ცხოვრებას. ვალენტინ ლაბუნსკიმ განიზრახა, თბილისის მეორე დამხმარე სკოლა-ინტერნატის ბაზაზე გახსნას სპეციალური ჯგუფები სპორტის რამდენიმე სახეობაში: ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთსა და მინი-ფეხბურთში. შესაძლებლობა არის იმუშაოს აგრეთვე ბადმინტონისა და მაგიდის ჩოგბურთის სექციებმა, მაგრამ ამას სპორტული ჯგუფები არ დაერქმევა — უფრო საერთო ფიზიკური წრთობის მიმართულება ექნება. ცურვის სპორტული ჯგუფის შექმნაც აქვთ განზრახული, ოღონდ, მოგვიანებით. ჩვენს მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სკოლა-ინტერნატში აპირებენ აუზის მოწყობას და შემდეგ ჩვენც დაგვითმობენ გარკვეული დროითო.

მარტო ცურვა კი არა, ყველა ეს სახეობა, რასაც გონებადაქვეითებული ბავშვების სოციალურ-სპორტული რეაბილიტაციის მიზნით აპირებენ, ლაბუნსკი და მისი თანამოაზრენი, ჯერჯერობით

( დასასრული მე-2 გვ. )

საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაციის გაზეთი. „ლელოს" დეკადური დამატება — რვალი

# არა ენთუზიაზმითა ერთითა...

(დასასრული)

ყოფნა-არყოფნის სასწორზე დევს და იმაზეა დამოკიდებული, დასწონის თუ არა ყოფნის პინას სიკეთე და სიქველე იმ ადამიანებისა და ორგანიზაციებისა, ვისაც რეალური დახმარების გაწევა შეუძლიათ. საქმე კი მართლაც მნიშვნელოვანი და საშურია. სოციალურ-სპორტული რეაბილიტაციის მეოხებით შესაძლებელი ხდება გონებადაქვეითებულ ადამიანთა ჩაბმა შრომაში, მათი დამოუკიდებელი არსებობა. პირველი ასეთი ბანაკები 1963 წელს საკუთარ სახლში მოაწყო ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი პრეზიდენტის ჯონ კენედის დამ იუნის კენედი-შრივერმა და მას შემდეგ თვით პრეზიდენტები ჯონ კენედიდან დაწყებული დღევანდელ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშამდე უშუალოდ მონაწილეობენ გონებადაქვეითებულ ბავშვთა სოციალურ-სპორტულ რეაბილიტაციაში. ამერიკაში ეს საქმე სახელმწიფო დონეზეა აყვანილი. 1968 წლიდან კი სპეციალური საერთაშორისო ოლიმპიადებიც კი ეწყობა გონებადაქვეითებულთათვის. საქართველოში წლეულს მარტში შეიქმნა სპეციალური ოლიმპიური თამაშების კომიტეტი და ვალენტინ ლაბუნსკი სწორედ ამგვარ ოლიმპიადებში მონაწილეობისათვის მომზადებას უპირებს თავის მომავალ აღსაზრდელებს, რომლებსაც დიდი სიხარული ელით, თუკი...

ეს „თუკი“ ბევრ რამეს გულისხმობს:

თუკი შესაბამისი ორგანოები გონებადაქვეითებულ ადამიანებზე ზრუნვას მეასეხარისხოვან საქმედ არ ჩათვლიან.

თუკი იქნება საზოგადოების ხელშეწყობა და დახმარება.

თუკი სუკის სასწავლებელი დაუბრუნებს მეორე დამხმარე სკოლა-ინტერნატს იმ სპორტულ დარბაზს, რომელიც სკოლა-ინტერნატის შენობიდან სპორტული სკოლის გადასვლის შემდეგ მიისაკუთრა...

თუკი...

უკვე ოთხმოცი ქვეყანაა გაერთიანებული სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის დროშის ქვეშ, მათი რიცხვი უკვე ალბათ 100-საც მიაღწევდა, რადგან 16 ქვეყანამ კიდევ გამოთქვა მისი წევრობის სურვილი და ჩვენ რაღა გვემართება. ნუთუ ჩვენ გულმოწყალებისა და სიკეთის ქმნის სურვილი და უნარი დავკარგეთო, — ამბობს ბატონი ვალენტინი.

ეს რაც შეეხება მომავალს. დღევანდელ დღეს კი მტკავლობით ზომავს ვალენტინ ლაბუნსკი სკოლა-ინტერნატის ეზოს და ოცნებობს: აქ მინი-ფეხბურთის მოედანი მოეწყობა, აქვე ხელბურთის თამაშიც შესაძლებელი იქნება, იქით — მაგიდის ჩოგბურთისათვის ორი მაგიდა დაიდგმება, სამრეცხაოს წინა ტერიტორიაზე ფრენბურთის მოედნის მოწყობაა შესაძლებელი, ინტერნატის შენობის წინ კი, მთელ სიგრძეზე — სარბენი ბილიკისა, იქვე სიგრძეზე ხტომის ორმოსი... და იქვე უმატებს: „ოღონდ აუცილებლად ხელოვნურსაფარიანისა, რათა ბავშვებმა წლის ყველა დროს შეძლონ ვარჯიში“. ამის გამგონე რწმუნდები, რომ ენთუზიასტი, საქმეზე შეყვარებული კაცი ყველაფერს გააკეთებს, რომ ოცნება რეალობად აქციოს.

— დიდი იმედი გვაქვს სპონსორობისა — ამბობს თბილისის მეორე დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორი მარინე უჯმაჯურიძე — ალბათ, საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონებიც მოისურვებენ დახმარებას, თუ ეკონომიურად ვერა, თავიანთი ავტორიტეტითა და სახელით მაინც შეეხიდებიან ამ სასიკეთო საქმეს, ყველაფერს გააკეთებენ, რომ ამ უმწეო ადამიანებმა მომავალში შედარებით მაინც დამოუკიდებლად იგრძნონ თავი და შეძლონ სასარგებლო შრომაში ჩაბმა, საკუთარი თავის რჩენა. ინტერნატში შრომითი სწავლების სახეობები გვაქვს შემოღებული, გოგონები ჭრა-კერვას სწავლობენ, ვაჟები — სადურგლო საქმეს, მომავალში სასოფლო სამეურნეო შრომის შესწავლას ვგეგმავთ, დამოუკიდებელი მეურნეობის მოწყობასაც გვპირდებიან. ეს ძალიან საჭიროა, რადგან ჩვენი აღსაზრდელების უმეტესობა რაიონებიდან არის ჩამოსული და სწავლების დამთავრების შემდეგ, ბუნებრივია, ისევ თავის კუთხეს უნდა დაუბრუნდეს. თუ შრომით საქმიანობას სპორტიც დაემატება, მეტი საშუალება მოგვეცემა, რომ ისინი ნორმალური ადამიანის ცხოვრებას მივუახლოვოთ. გარდა ამისა ჩვენს ინტერნატში მიღებული შედეგები დაგვანახებს, თუ რა სიკეთე მოაქვს ფიზიკურ წრთობას გონებრივი განვითარებისათვის და რა შეიძლება დაინერგოს ამგვარი სახის სკოლა-ინტერნატებში. ბევრი რამ გვაქვს განზრახული. ვნახოთ, როგორ აგვიხდება დღევანდელი საფიქრალი.

**გულჩვილ, კეთილ და ქველ ადამიანებს, ვისაც ამ წერილის წაკითხვისთანავე აღეძვრებათ დახმარების, თანადგომის სურვილი შეუძლიათ დარეკონ ტელეფონზე: 67-26-59. ეს თბილისის მეორე დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორის მარინე უჯმაჯურიძის ტელეფონის ნომერია.**

ნინო ლაბაური

## უცხოეთის გამოცდილება

# წინსვლა...?

**პრესაში ამ ბოლო ხანს რამდენჯერმე გამოჩნდა ცნობა, თითქოს საზღვარგარეთის ქვეყნებში სასწაულებრივად მკურნალობენ ზურგის ტვინის დაავადებებს. ეს მთლად მართალი არ არის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხს უცხოეთში დიდი ყურადღება ეთმობა.**

**გიამბობთ გერმანელი ჟურნალისტი პეტერ მანდი.**

ზურგის ტვინის დაზიანება დღემდე მწვავე პრობლემად რჩება. სანამ ამ სფეროში რაიმე ცვლილებებს მივაღწევთ, უამრავი საკითხი უნდა გადაწყდეს. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ზურგის ტვინის ხიდის დაზიანების მკურნალობაში. ციურიხის უნივერსიტეტის ტვინის კვლევის ინსტიტუტის პროფესორმა დოქტორმა მარტინ ე. შვახმა გამოაქვეყნა დიდი ხნის მუშაობის შედეგები. ცნობილი ექსპერტის ვილდბერგის კლინიკის მთავარი ექიმის, განივი მიელიტით დაავადებულთა მფარველობის საზოგადოების თავჯდომარის, დოქტორ ჰანს იურგენისა და ციურიხის განივი მიელიტის კლინიკის ხელმძღვანელის, დოქტორ ვერნერ ჭუნის აზრით, მარტინ ე. შვახის ეს გამოკვლევა უდიდესი მიღწევაა. დოქტორმა შვახმა ცდები ჩაატარა ვირთხებზე, რომლებსაც ზურგის ტვინი ჰქონდათ დაზიანებული და შეძლო ნერვული ქსოვილის აღდგენა ერთ სანტიმეტრზე. მსგავსი რამ პირველად გაკეთდა ასეთ „დიდ ტერიტორიაზე“, ერთი სანტიმეტრი ზურგის ტვინისთვის დიდ ტერიტორიად ითვლება.

ამ წარმატებას წინ უძღოდა სერიოზული და ძალზე ფაქიზი ბიოლოგიური კვლევა. ზურგის ტვინი ნერვული ღეროებისაგან კი არ შედგება, როგორც ამას ლაიე ფიქრობს, არამედ ნერვული ქსლის უამრავი ჯგუფისაგან (თავის ტვინის მსგავსად), ამიტომ ზურგის ტვინი გაწყვეტილი ნერვივით არ შეიძლება შეკეთდეს. თითოეული ნერვული ქსელი გარემოცულია ქსოვილით, ეგრეთ წოდებული მიელინით, რომელზეც ორი ცილოვანი ნივთიერებაა განლაგებული. ეს ნივთიერებები ხელს უშლიან ქსლის შემდგომ ზრდას. როდესაც ზურგის ტვინი ჯანმრთელია, ეს ნივთიერება იძლევა იმის გარანტიას, რომ ერთმა მზარდმა ქსელმა მეორე არ დააზიანოს. თუ ზურგის ტვინი დაზიანებულია, ეს ნივთიერება ხელს უშლის ქსლის აღდგენას.

პროფესორმა შვახმა შექმნა ანტისხეულები, რომლებიც ხელს უწყობენ დაზიანებული ქსოვილის აღდგენას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ციურიხში ადამიანს დაზიანებულ ტვინს აღუდგენენ. ჯერ მხოლოდ ცხოველებში მოხერხდა დაზიანებული ზურგის ტვინის მცირეოდენი ნაწილის აღდგენა. ამასთან, ჯერჯერობით გაურკვეველია აღდგენილი ბოჭკოები დაამყარებენ თუ არა კავშირს ძველთან და შესძლებს თუ არა ზურგის ტვინი ძველებურად ფუნქციონირებას.

პროფესორმა შვახმა თავადაც კარგად იცის, რომ ჯერჯერობით ანტისხეულების ადამიანის სამკურნალოდ გამოყენება შეუძლებელია. არც იმას ფიქრობს, რომ მხოლოდ ამ მეთოდის საშუალებით მიაღწევს მიზანს. ციურიხელი მკვლევარის აზრით, მომავალში უნდა მოხდეს დაზიანებული ქსოვილის ანტისხეულებისა და ნეიროტროპული ფაქტორის კომბინირება. ეს ფაქტორი მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. „მრავალი წელი გავა, სანამ შესაძლებელი გახდება ამ აღმოჩენის განხორციელება ადამიანის სამკურნალოდ“ — წერს იგი.

ეს მეთოდები ძალზე სარისკოა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ წლების შემდეგ, როდესაც მიზანი მიღწეული იქნება, ბევრი ინვალიდი არავითარ რისკს არ დაერიდება, თუკი განკურნების თუნდაც მცირე შანსს მისცემენ.

## გერმანია

## ანთროპოზოფიური საავადმყოფო ჰერდეკეში

ამ საავადმყოფოში კომპლექსური მკურნალობა ტარდება, დიდი ყურადღება ექცევა ავადმყოფის სულიერ და მორალურ მდგომარეობასაც.

საავადმყოფო 1969 წელს გაიხსნა, ზურგის ტვინის დაავადებათა განყოფილება კი მხოლოდ სამწელიწადნახევრის წინათ შეიქმნა. განყოფილებაში ავადმყოფებს იღებენ ძირითადად ოპერაციის შემდგომი მკურნალობისათვის. აქ არის თორმეტი ერთსაწოლიანი და ოთხი ორსაწოლიანი პალატა.

მთავარი ექიმისა და პალატების ექიმების გარდა განყოფილებაში მუშაობენ ექიმი-ასისტენტები, 22 მომვლელი, სამკურნალო ტანვარჯიშის სპეციალისტები, სოციალური სფეროს მუშაკები, აგრეთვე მხატვარი, თერაპევტი, ერგოთერაპევტები. მკურნალობის პროცესის უკეთ წარმართვისათვის იქმნება ჯგუფები ექვს-ექვსი ავადმყოფისაგან. თითოეულ ჯგუფს თავისი მედპერსონალი ემსახურება.

„ასე მგონია დიდი ხანია ამ ადამიანებთან ვარ. მათ იციან, რა მიჭირს, რა მილხინს, როგორ და რით უნდა დამეხმარონ, — ამბობს ერთ-ერთი პაციენტი — ვიდრე გასინჯავდეს, ექიმი, ავადმყოფს ჯერ სხვა თემებზე ესაუბრება, ცდილობს გაიცნოს, ურთიერთობა





დაამყაროს მასთან. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება საუბარი ავადმყოფობაზე. მახსოვს, რომ მოვედი, ექიმებმა ჯერ ფინჯან ყავაზე მიმიწვიეს. დიდხანს ვისაუბრეთ, დავუახლოვდით ერთმანეთს. სხვათა შორის, კვირაში ერთ საღამოს ექიმი პაციენტებს ინდურ ზღაპრებს უკითხავს. ეს რაღაც განსაკუთრებული განცდაა, როგორც ჩვენთვის, ისე თვით ექიმისთვის“.

მკურნალობის პროცესში ჩართულია ფიზიოთერაპიული ღონისძიებები, — ერგოთერაპია, სამკურნალო ვარჯიში, ჰიპოთერაპია, სპორტული თერაპია (მშვილდოსნობა, კალათბურთი), ხელოვნების თერაპია (ხატვა და მუსიკა). ეს ყველაფერი ანთროპოზოფიური მკურნალობის მეთოდებში შედის.

დოქტორი რაიმერი ამბობს: „ამ მეთოდების გამოყენების მიზანი ის კი არ არის, რომ პაციენტმა მიაღწიოს რაიმე წარმატებებს სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ან ხელოვნების ამა თუ იმ დარგში, არამედ ის, რომ აღვუძრათ მას საჭირო ემოციები, გავუღვიძოთ საკუთარი შესაძლებლობის რწმენა, პაციენტებში ხშირად ვხვდებით დეპრესიის სინდრომს, რომლის დაძლევისას ეს მეთოდები ძალიან გვეხმარება. ავადმყოფი ამჩნევს, რომ რაღაც ახალს ითვისებს, იმას, რაც ადრე არ შეეძლო“.

„უბედური შემთხვევის შემდეგ, რის შედეგადაც დავინვალიდდი, ჩემი ემოციური ცხოვრება მთლიანად დაინგრა. ადრე მუსიკა დიდ სიამოვნებას მანიჭებდა, იმ უბედური შემთხვევის შემდეგ მისი მოსმენა საერთოდ არ შემეძლო, მაღიზიანებდა. აქ მოსვლის შემდეგ ჩემში ისევ გაიღვიძა ძველმა განცდამ. ვამჩნევ, რომ შიში თანდათან ქრება და რწმენა მიბრუნდება. ხატვაც დავიწყე. ორი კვირის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ფუნჯი მემორჩილებოდა. მხატვრობას ვერ დავიკვეხნი, მაგრამ ხატვის პროცესი უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, ეს განცდა დღემდე უცნობი იყო ჩემთვის“, — ამბობს ერთ-ერთი ავადმყოფი.

ჰერდეკეს საავადმყოფოს ამ განყოფილებაში ავადმყოფები უმეტესად ექვს თვეს ატარებენ. პაციენტს აქ მოსვლისთანავე უხსნიან რა მოეთხოვება და რას მიიღებს ექიმებისაგან. აქ მკურნალობის წარმატება მხოლოდ ექიმებზე არ არის დამოკიდებული. ზოგიერთს ჰგონია, რომ აქ დახვდება ექიმი-ჯადოქარი, რომელიც თავის ჯადოსნურ ჯოხს მოიქნევს და მორჩა, ყველაფერი კარგად იქნება. იმისათვის, რომ ავადმყოფი გამოჯანმრთელდეს, უმთავრესია თვით მისი დიდი რწმენა და მონდომება.

მომავლისთვის განყოფილებაში კიდევ ბევრი ახალი მეთოდი შემუშავდება და მკურნალობის ფორმებიც უფრო დაიხვეწება.

## ამბულატორიული სამსახური ინვალიდებისათვის

1978 წლიდან მიუნხენში არსებობს ორგანიზაცია, რომელიც ამბულატორიულ დახმარებას უწევს მოხუცებულებსა და ინვალიდებს. ეს ორგანიზაცია მალე ოფიციალურ დაწესებულებად გადაიქცა. 1979 წლისათვის აქ მუშაობდა ორმოცდაათამდე თანამშრომელი, 1990 წლისათვის კი მათი რიცხვი ხუთასამდე გაიზარდა.

საჭირო თანხას მიუნხენის მთავრობა გამოყოფს. თანამშრომლების ხელფასი საათში ათ მარკას შეადგენს და თანხას სოციალური უზრუნველყოფის სამსახური იხდის.

ამ სამსახურის ამოცანაა დაეხმაროს ინვალიდ პაციენტებს, რათა მათ შეძლონ დამოუკიდებელი ცხოვრება. აძლევენ რჩევა-დარიგებებს, ეძებს მათთვის შესაფერის ზონებსა და სამსახურს.



## კომფორტული ბალიში

ეს არის საჯდომი ბალიში, რომელიც თავიდან აგვაცილებს წყლულებს. იგი მსუბუქია, სატარებლად იოლი. განსაკუთრებით გამოსადეგია იმ სპორტსმენებისათვის, რომლებიც სავარძელს ხმარობენ.

საგარანტიო ვადა-18 თვე.

**მისამართი: პეტერ ტესცინსკი 5810, ვითენი**
**საამონემენტო საფოსტო ყუთი 2409; კლერპოფშტრასე 7,**
**ტელეფონი (02302); 84932; 49064;**
**ტელექსი 8229052.**

## სპონსორიც გამოჩნდა!

ლევანი ჩვენი კომბინატის თანამშრომელია. ჩვენ იგი გვიყვარს და მისი ყოველი წარმატება გვახარებს. ინტერესით წავიკითხეთ ნარკვევი ლევანის შესახებ „რვალის" ფურცლებზე. სამწუხაროდ, ბევრი რამ არ გვცოდნია. ეს უთუოდ ლევანის უპრეტენზიო ბუნების გამო მოხდა. მას არ სჩვევია ჩივილი თავის სატკივარზე. არადა, თურმე რა ძნელი გზა გაუვლია... დღეს ლევანი უფრო ამაღლდა ჩვენს თვალში. მოვალენიც ვართ, ხელი გავუმართოთ.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საქართველოს" მშრომელები.

# „რვალის" რედაქციას და კიდევ... „ერთ უბრალო კახელ ბიჭს" ლევან ჟამიაშვილს!



პირველი ჯგუფის ინვალიდს, საქართველოს აბსოლუტურ ჩემპიონს მკლავჭიდში ლევან ჟამიაშვილს კომბინატის თანამშრომლებმა, საამქროს ადგილკომმა და დირექციამ ბინის შესასყიდად ოცდაათი ათასი მანეთი გადასცეს. ამ საჩუქარმა ლევანი უსაზღვროდ გაახარა, იმდენად, რომ მადლობის თქმაც ვერ მოახერხა დირექტორისთვის, ბატონ მამია თენიეშვილისათვის.

რედაქცია ახლაც ეცდება ლევანს შეეშველოს...

მადლობას გიხდით, ბატონო მამია, თქვენ და მთელ თქვენს კოლექტივს იმ გულისხმიერებისთვის, რაც ბედისაგან დაჩაგრული ბიჭის მიმართ გამოიჩინეთ.

გვინდა მკითხველმა მეტი იცოდეს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საქართველოს" შესახებ, რომლის კოლექტივიც საქველმოქმედო საქმეებითა და გულისხმიერებით გამოირჩევა.

კომბინატმა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა თქვა უარი მეურნეობრიობის დრომოჭმულ ფორმებზე და დაიწყო „ომი" ეკონომიკური თავისუფლების მოსაპოვებლად. მამია თენიეშვილს ღრმად სწამს, თუ მუშას შრომის პირობებს არ გაუუმჯობესებ და ნაშრომს კეთილსინდისიერად არ აუნაზღაურებ, წარმატებაზე ფიქრი ძნელია. ახლებურად მუშაობის პირველმა წლებმა ოთხ მილიონ მანეთამდე მოგება მოიტანა... ახლა მოგება უკვე ხუთმაგად გაიზარდა. შესაბამისად გაუმჯობესდა შრომის პირობები. მაგალითად, კომპენსაციის საშუალო თანხა ერთ მომუშავეზე 73 მანეთია, წამყვანი პროფესიის მუშებისთვის კი ეს თანხა 140 მანეთამდეადის. მოგების უდიდესი ნაწილი მშრომელებზე ნაწილდება. კომბინატის ორი ათასი თანამშრომელი დღეში ერთხელ უფასოდ იკვებება. მათ, ვისაც საცხოვრებელი არა აქვს, დახმარებას აძლევენ ბინების შესასყიდად, ახალგაზრდა ოჯახებს ეძლევათ უპროცენტო სესხი. რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით ყველა თანამშრომელი იღებს დახმარებას. მაგალითად, მარიამობისთვის 100-100 მანეთი დაურიგდათ კომბინატის თანამშრომლებს, ხოლო 50-50 [illegible] საწარმოდან [illegible] ნერებს. ამ ადამიანებს სხვა დროსაც არ აკლებენ ყურადღებას. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ კომბინატმა ინვალიდი ადამიანები შეიფარა და შესაფერისი სამუშაო მისცა, ყურადღება და სითბო არ დაიშურა მათთვის. საქართველოს ინვალიდთა სპორტულ ფედერაციაში შემოდის ასობით განცხადება — ინვალიდები სამუშაოს ითხოვენ. ფედერაციას დიდი ბრძოლა სჭირდება რომელიმე საწარმოში ან სხვაგან მათი მოწყობისათვის... მაუდ-კამვოლის კომბინატში კი ოცდაათი ინვალიდი მუშაობს, მათ შორის შვიდი ახალგაზრდაა.

ყოველივე ამის შემდეგ, მკითხველი ალბათ იფიქრებს, რა გასაკვირია, რომ ლევან ჟამიაშვილს დაეხმარნენო. ცხადია, არ არის გასაკვირი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ის გვინდა ვთქვათ, რომ ამგვარი ქველმოქმედება მისაბაძია.

**ჩვენთვის კი — „რვალის" რედაქციისთვის — ეს პირველი გამარჯვებაა, როცა გაზეთის სიტყვას რეალური საქმე მოჰყვა, სიკეთის მარცვალი გაალვივა და გაახარა კიდეც ღვთისშვილთა საქეთილდღეოდ.**

## ინვალიდთა ნამუშევრების გამოფენა? რატომაც არა!

იყო დრო მიაჩნდათ, რომ თითქოს საბჭოთა ინვალიდი ყველაზე ბედნიერი ინვალიდი იყო მთელს დედამიწის ზურგზე. უკულმართი საბჭოთა პროპაგანდისგან განსხვავებით საზღვარგარეთის ქვეყნებში სასურველს არ ასაღებდნენ რეალობად და იქნამდვილად ზრუნავდნენ ბუნებისაგან დაჩაგრულთა ბედზე. ადრე ინფორმაციის შემოღწევის საზღვრებიც მტკიცედ იყო ჩარაზული, ახლა კი ვინ არ იცის, რომ თურმე მსოფლიოში ყველაზე უბედური და არა ყველაზე ბედნიერი, ყველაზე დაუცველი სოციალურად სწორედ საბჭოთა ინვალიდი ყოფილა.

მძიმე, შეიძლება ითქვას, ტრაგიკულ მემკვიდრეობას, ცხადია, ერთბაშად ვერ აღმოფხვრის საზოგადოებრიობა, ყურადღებასა და ძალისხმევაზე კი დღეს საყვედური არ ითქმის. საქართველოში ბოლო ხანებში საგრძნობლად გააქტიურდა „ღვთის შვილთადმი" თანადგომა. მათი სოციალური რეაბილიტაციის კეთილშობილურ საქმეს ემსახურება საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაცია, რომელმაც მრავალ შინგამოკეტილ მოძმეს გაუხალისა სიცოცხლე, ჩააბა არა მხოლოდ საშინაო, არამედ მსოფლიო ინვალიდთა სპორტულ მოძრაობაში.

„ღვთის შვილთა" პრობლემების გადაჭრისათვის, ცხადია, ყველამ უნდა გამოიღოს ხელი. მაგალითს, როგორც ვთქვით, ზემოაღნიშნული ფედერაცია იძლევა.

საინტერესო იქნება საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობა თუნდაც ინვალიდთა შემოქმედებისადმი, კერძოდ ხელოვნებისადმი. ვინ იცის, ვის რა ნიჭი აქვს და ან ვერ ამჟღავნებს კარჩაკეტილობის გამო ან გული აქვს გატეხილი, რომ მისი შემოქმედებით არავინ დაინტერესდება. უნდა დავინტერესდეთ, სწორედ ეს იქნება მათთვის შემოქმედების გაღრმავების ყველაზე დიდი სტიმული.

დრო აღარ უნდა დაიკარგოს. ინვალიდთა სპორტული ფედერაცია და „რვალის" რედაქცია ამ კონკრეტულ შემთხვევაში თავის თავზე იღებს „ღვთის შვილთა" შემოქმედების გამომზეურებას. მოვაწყობთ საგანგებო გამოფენას, სადაც საზოგადოებრიობის წინაშე ინვალიდები წარსდგებიან თავიანთი ნებისმიერი ნამუშევრით — ნახატი იქნება ეს, ნაკეთობა თუ სხვა რამ.

არა მარტო ინვალიდებს, არამედ მათ ახლობლებს, მეგობრებს, ნათესავებს ვთხოვთ, წინდაწინ გვაცნობონ რედაქციაში იმ ინვალიდთა ვინაობა, რომლებიც თავიანთი ნამუშევრებით მონაწილეობას მიიღებენ გამოფენაზე.

**ვიმეორებთ, დროს ნუღარ დავკარგავთ! მოგვწერეთ მისამართზე: თბილისი 380096, კოსტავას 14, „ლელო" — „რვალი".**

## მონდომება იყოს და ინვალიდთა ეტლის გამოშვება ავტოსატრაქტორო ქარხანაშიც შეიძლება

ამ სამი წლის წინათ გერმანული ფირმა „მაირა" ვლადიმირის ოლქის სტავროსკის ავტოსატრაქტორო ქარხანაში ინვალიდთათვის სავარძლიანი ეტლის ხაზის დამონტაჟებას შეუდგა. ესოდენ საჭირო პირველი პროდუქციაც მალე მიიღეს ადამიანებმა, რომლებიც ათეული წლობით იყვნენ გამოკეტილნი ბინებში — შარშან 25 ათასი სავარძელი გამოუშვა ქარხანამ, წლეულს კი ეს რიცხვი გაორმაგდება.

ჯერჯერობით ავტოსატრაქტორო ქარხნის ახალ პროდუქციას სოც-უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების სიებით ანაწილებენ.

## შეგიძლია, დაეხმარე!

უცხოეთში მსხვილი საწარმოები და ფირმები კანონის შესაბამისად არა მარტო სამუშაო ადგილებს ჯავშნიან ინვალიდებისათვის, არამედ საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევიან საერთოდ ინვალიდების სასარგებლოდ. ასეთი ორგანიზაციები, საბედნიეროდ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებშიც გამოჩნდნენ. მაგალითად, ჩელიაბინსკის საწარმოო გაერთიანება „პოლიოტი" ატარებს ინვალიდთა სპარტაკიადას, რომელიც ინვალიდთათვის ხელმისაწვდომ სპორტის რამდენიმე სახეობას მოიცავს.

გამარჯვებულებისა და პრიზიორებისათვის, ცხადია, ყველაზე დიდი სიხარული არც საჩუქრებს მიუნიჭებია და არც დიპლომებს. ისევე როგორც სპარტაკიადის ყველა მონაწილისთვის, მათთვისაც უდიდესი ბედნიერება საკუთარი შესაძლებლობის რწმენის შეგრძნება იყო.



სურათზე: ასპარეზობენ ფრენბურთელები.

## კომენტარის გარეშე...





## თქვენთვის, ინვალიდებო!

# რობერტის „ლაშქარი", ბუბას ჰალსტუხი და ...

ნოემბრის ამ მოწყენილ და ღრუბლიან დღეებში თბილისს ერთი უცნაური, მრავლისმეტყველი აფიშა ახალისებდა. საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი, საქტელერადიოს დეპარტამენტი, მუსიკალური თეატრ-სტუდია „ჯორჯია", საქართველოს ინვალიდთა ასოციაცია იუწყებოდნენ, რომ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 8-9 ნოემბერს გაიმართებოდა დიდი საესტრადო ზეიმი — „მე და ჩემი ლაშქარი".

ლაშქარს ხელმძღვანელობდა საქართველოს სახალხო არტისტი რობერტ ბარძიმაშვილი. პროგრამის ავტორები და სამხატვრო ხელმძღვანელები იყვნენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები ნანი ბრეგვაძე და ბუბა კიკაბიძე. კონცერტებში მონაწილეობდნენ ანსამბლების — „75" და „ჯორჯია" ძველი და ახალი შემადგენლობა, აგრეთვე, „ორერას" წევრები — გენო ნადირაშვილი და თეიმურაზ დავითაია. მაყურებელმა სცენაზე იხილა ბესიკ კალანდაძის („75"), გოჩა ლორიას („75", „ივერია"), თეიმურაზ რევაზიშვილის („75"), კობა ბეჟიტაშვილის („75"), ზაურ მურვანიძის („ჯორჯია"), ლევან ლაზარიშვილის („ლახტი") მაღალი ხელოვნება.

კონცერტის დროს (შესვენებაზე და დასასრულს) ჩატარდა აუქციონი. გაიყიდა იმპორტული ვიდეო-მაგნიტოფონები, საიუველირო ნაწარმი, უცხოური მუსიკალური საკრავები და სხვა.

პირველსავე დღეს აუქციონზე გაიყიდა ბუბა კიკაბიძის ჰალსტუხი, ფერადი ფოტო და კონცერტის ვიდეო-კასეტა...

შემოსავალი მოხმარდება ინვალიდებს... როცა აუქციონის წამყვანმა, პოპულარულმა კომენტატორმა ნუგზარ ჯულელმა მაყურებელს აცნობა, რომ დაგეგმილი კონცერტი და აუქციონი ძირითადად საქველმოქმედო ხასიათისაა და თანხის გარკვეული ნაწილი ჩვენს ინვალიდ ძმებს, დებს, შვილებს, დედებს, მამებს მოხმარდებაო, — დარბაზში ყველაზე პატარა მაყურებლებიც კი გაისუსნენ, აუქციონის ჩატარებას ხელი არ შევუშალოთო...

— მართლაც, უდიდესი ძვრები მოხდა ჩვენს ცნობიერებაში. დღეს უკვე ქველმოქმედება აღარავის უკვირს, პირიქით, მოძმეთათვის ხელის გაწვდენა, მხარში ამოდგომა პრესტიჟულ საქმედ იქცა.

— ბატონო რობერტ, რატომ მოისურვეთ, რომ ინვალიდებს დახმარებოდით? — ვკითხეთ კონცერტის შემდეგ „ლაშქრის" ხელმძღვანელს...

— ჩემი აზრით, — გვითხრა რობერტ ბარძიმაშვილმა, — კარგია, რომ ვეხმარებით სამაჩაბლოელ ლტოლვილებს, სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთ, მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი ინვალიდები. მათ ისიც ეყოფათ, განგების ან რაღაც შემთხვევის წყალობით რომ დაიჩაგრნენ. ინვალიდების მიმართ სათუთი ყურადღების გამოჩენა განა ჩვენი უპირველესი მოვალეობა არ არის? პირადად მე წინასწარ უდიდეს კმაყოფილებას ვგრძნობ, რომ ჩვენი საქველმოქმედო კონცერტები ბუნებისაგან დაჩაგრულ ხალხს სასიკეთოდ წაადგება. ასე რომ „ჩემი ლაშქრის" მოსასმენად მოსული მაყურებელი უდიდეს კეთილშობილებას იჩენს, რადგან ინვალიდ თანამოძმესაც უმართავს ხელს...

— გარდა ამისა, თბილისს, თბილისელებს ხომ კარგი კონცერტი, სიმღერა ძალიან მოენატრათ...

— რა თქმა უნდა, ჩვენც ძალიან მოგვენატრნენ მაყურებლები, მათი გულწრფელი ტაში, სითბო და სიყვარული...

— გაზეთ „რვალის" რედაქციის სახელით, რესპუბლიკის ინვალიდთა სახელით დიდ მადლობას მოგახსენებთ ამ კეთილშობილური კონცერტი-აქციის მოფიქრებისა და ჩატარებისათვის... მსგავსი ღონისძიებები ხომ საზღვარგარეთ დიდი ხანია ტარდება. მისი ინიციატორები კი ყველაზე ცნობილი მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები და სხვა პროფესიის ადამიანები არიან.

და აი, ჩვენც გადავწყვიტეთ. მათთვის მიგვებაძა. თბილისელების დიდი მადლობელი ვართ... ინვალიდებს მინდა ვუსურვო გამძლეობა, ჯირთათმენა და საქართველოს ბედნიერი, ძლიერი ხვალინდელი დღე... მე მჯერა, რომ მალე საქართველოს რესპუბლიკას უფრო მეტი საშუალება ექნება თავის მრავალტანჯულ ხალხს (მათ შორის ინვალიდებს), მეტი მორალური და ეკონომიკური დახმარება გაუწიოს. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე და მფარველი...

ლაშა ქოჩულია





სურათებზე: რობერტ ბარძიმაშვილის ძველი და ახალი „ლაშქარი" სცენაზე.

# ყველას!

ქალაქებისა და რაიონების ხელისუფალთ, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს, ცალკეულ ორგანიზაციებს თუ საქველმოქმედო გაერთიანებებს... ყველას! ვისაც გსურთ, გაახაროთ თქვენი ინვალიდი მეგობარი, ნათესავი, თანამშრომელი თუ უბნელი, გამოუწერეთ მას გაზეთი „ლელო". ეს კარგი საჩუქარი იქნება მათთვის, რადგან „ლელოს" დეკადურ ჩანართ „რვალში" თქვენი ხეიბარი მეგობრები საინტერესო მასალებს გაეცნობიან. მათ შესაძლებლობა ექნებათ თვითონაც დაბეჭდონ წერილები მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე. „რვალი" კარგი საშობაო თუ საახალწლო საჩუქარი იქნება მათთვის. ნუ დაინანებთ ნურც გაზეთის გამოწერისათვის დახარჯულ დროს და ნურც ხელმოწერის ფასი შეგაშინებთ — ხელმოწერაში ხომ „ლელოს" და „რვალის" ფასი თითქმის განახევრებულია. ინდექსი 66435. იჩქარეთ გაახაროთ მოყვასნი თქვენი, ისინი, ვისაც ჭარბად სჭირდებათ სითბო და სიხარული.

ყველას!

ყველას!

## ინვალიდი ბავშვებისათვის



# ენის გასატეხი

(გაგრძელება)

### ლ

ლამაზ ლამაზს
ლელთან დილით
ლალად დახვდა
ველზე ლომი,
გალომებით ღრიალებდა
აელვებდა თვალებს წყრომით.

### მ

მარინე მართლა მარჯვეა,
საქმეს ღიმილით მიხედა...
ყოჩაღი გოგო ყოფილა
ამას სუყველა მიხვდება.

### ნ

ნოდარმა — ნადირს ნიაგორს
ნამდვილად ჰკიდა თვალი,
ნანატრი ნანადირევის
ნახა ნათელი კვალი.
ნაფეხურებს კი ნელ-ნელა
ფანტავდა ზენა ქარი.

### ო

ორშიმოთი ღვინოს იღებს
ოცობოდი — აყლაყუდა.
ორჯერა სვამს ორი დოქით
გაიძვერა — ოცორკუდა.

### პ

პაწაწა პეშვით პინგვინმა
პირზე შეისხა წყალი.
პიპამ მანქანის პიპინით
პროსპექტს გაავლო კვალი.

### ჟ

ჟოლოსფერი ჟილეტით,
ჟრუნისფერი ჟაბოთი
ჟანგისფერი ჟირაფი
ლაჟვარდიდან ამოდის.

შოთა ხოდაშნელი

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართია: 380007
ი. მაჩაბლის ქუჩა № 11
ტელეფონები: 93-28-92. 98-13-73. 93-98-75

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით
ქსს გამოთვლით ცენტრში, ტელეფონი 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

### IX გადატანილი ტურის მატჩები

**„ოდიში“ (ზუგდიდი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 2:2 (1:2)**

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 7 ნოემბერი.

„ოდიში“: ჰანტურია, ჯიქია, ბერიშვილი, თუთბერიძე, ჯავაშვილი, კვარაცხელია, მალანია, შეროზია (გოგოხია), ბიგვავა, ყიზილაშვილი, კირხენკო (ზ. ჯანაშია).

„ქუთაისი“: ზოიძე, შავგულიძე (ჯანხოთელია), ჰელიძე, მიქაძე, ბრეგვაძე, შენგელია, კიკლიაშვილი, ხუნდაძე, დ. ჯანაშია, დარასელია, მაღლაკელიძე.

მსაჯები: შ. ხანიაშვილი, ა. დევიძე, ზ. დარჩია (სამივე — თბილისი).

გოლები: ბრეგვაძე, შეროზია; მალანია, დ. ჯანაშია.

გააფრთხილეს მ. ხუნდაძე.

**„ალაზანი“ (გურჯაანი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:0**

გურჯაანი. ცენტრალური სტადიონი. 7 ნოემბერი.

„ალაზანი“: ჰუნიაშვილი, ზუბითიძე, წიქარიშვილი, ხანადირაძე, ძნელაძე, ხპანდერაშვილი, ნატროშვილი, ზაალიშვილი, ბარნაბიშვილი (ყიზილაშვილი), თეთრაული, კობახიძე.

„ამირანი“: მიქაია, აბულედიანი, ძალამიძე, დოჩია, ჩხვირკია, გოგატიძე, აფენდოპულო, გუჩუა, ჯოჯუა, გაბისონია (თოლორდავა), ტრუვალოვი (ფაჩულია).

მსაჯები: ლ. ჩიტაია, ა. მერკვილაძე (ორივე — თბილისი), გ. ასკაროლლი (ქარელი).

გააფრთხილეს ი. კობახიძე.

დუბლიორები: — 4:2.

**„მრეტები“ (თბილისი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 2:1 (0:0)**

თბილისი. ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 7 ნოემბერი.

„მრეტები“: ჯანელიძე, ჟორჟიკაშვილი, სიდამონიძე, პაპიძე, ბ. წიკლაური (ჰანტურია), ქორიძე, იაგორაშვილი (ახპინძელაშვილი), ჩუხუა (ქვარცხავა), ქინქლაძე, ტყავაძე, ხურცილავა.

„ბათუმი“: ბალაძე, გოგიტიძე, მალანია, დურდიაძე, მაჭუტაძე, ზედანია, მახარაძე, ღლონტი, უჯმაჯურიძე, ტულუში, კანტიძე.

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი), გ. თვარაძე (ბორჯომი).

გოლები: ღლონტი, ტყავაძე (2).

გააფრთხილეს ო. პაპიძე, მ. მახარაძე.

დუბლიორები — 3:0 (ბათუმელთა გუნდი არ გამოცხადდა).

**„ცხუმი“ (სოხუმი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 3:0 (1:0)**

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 7 ნოემბერი.

„ცხუმი“: ქორქოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, კურგენიანი, მალანია, გოგიაშვილი, ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, ცაავა, გაბისკირია.

„კოლხეთი-1913“: მიქავა, თიბილაშვილი, კაკაჩია, ქუნთელია, გიგატაძე, ბაჯალაძე, ტორჩინავა, ლალანიძე, ხიჭინავა, ქორჩილავა, ქობალია.

მსაჯები: მ. ჰელიძე, თ. სოფრომაძე, (ორივე — თბილისი), პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).

გოლები: ცაავა, გოგრიჭიანი (2).

გააფრთხილეს ხ. ქუნთელია.

დუბლიორები — 2:0.

**„გორდა“ (რუსთავი) — „იბერია“ (თბილისი) 1:2 (0:1)**

რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 7 ნოემბერი.

„გორდა“: მეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი, ლობჟანიძე (დიმიტრიშვილი), ქახრაშვილი (ბაკურაძე), თორლაშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ბურნაძე, მიქაშავიძე.

„იბერია“: ჩხეიძე, არზიანი, ტყებუჩავა, შელია, კუდინოვი, რევიშვილი, ინალიშვილი, ჩიქოვანი, კაჭარავა, ყაველაშვილი, შ. არველაძე.

მსაჯები: ს. კვარაცხელია, გ. კალანდია (ორივე — ზუგდიდი), თ. მაჭარაძე (ხონი).

გოლები: კაჭარავა (2); თორლაშვილი.

დუბლიორები — 1:6.

**„სამგურალი“ (წყალტუბო) — „სამტრედია“ (სამტრედია) 1:3 (1:1)**

წყალტუბო. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 7 ნოემბერი.

„სამგურალი“: მიქაძე, იონანიძე, გოგელიძე, ბერაძე (გ. ჯანელიძე), ვ. ფეხტვენიძე, რ. იობიძე, ქ. იობიძე (ლ. ფეხტვენიძე), ჩიხლაძე, ქყონია, ბაბუნიძე, ხარაბაძე.

„სამტრედია“: ივანოვი, კოხრეიძე, შურღაია, ნადირაძე, ბერაია, მამფორია, ხანიკიძე, სვინაიძე, გეგეშიძე, ენდელაძე (ბრეგვაძე), ხობოლი.

მსაჯები: გ. ხეჩუაშვილი (თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი), დ. გვაზავა (აბაშა).

გოლები: სობოლი (3); ფეხტვენიძე.

გააფრთხილეს ვ. ფეხტვენიძე.

დუბლიორები — 4:3.

**„დილა“ (გორი) — „სულორი“ (ვანი) 5:2 (3:0)**

გორი. ცენტრალური სტადიონი. 7 ნოემბერი.

„დილა“: ჰანტურია, კონდრატიევი, მჭედლიშვილი, მელქაძე, თარხნიშვილი, შავდათუაშვილი (მიქელაძე), მარეხაშვილი, მიხანაშვილი, მარლიშვილი, ნეფარიძე, ზურაბ ხორგუაშვილი (ვალიშვილი).

„სულორი“: კიკალეიშვილი, რეუტსკი (კ. დვალიშვილი), გ. ვერულაშვილი, ერემეიშვილი, ბრეგვაძე, ორმოცაძე, პაიკიძე, ნეფარიძე (კიკნაძე), თ. დვალიშვილი, ჯ. ვერულაშვილი, ძაგნიძე.

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, ვ. ჩოჩიშვილი (ორივე — თბილისი), თ. ლაცაბიძე (ხურაში).

გოლები: ნეფარიძე (12, 27, 32, 54, 87), ორმოცაძე (63), გ. ვერულაშვილი (85).

დუბლიორები — 1:1.

**„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 3:0 (2:0)**

ჩოხატაური. ცენტრალური სტადიონი. 7 ნოემბერი.

„მერცხალი“: გოგუა, ცარციძე, ხამაშურიძე, ჩხაიძე (დოლიძე), როყვა, ავალიანი (წივწივაძე), ტულუში, ამაშუკელი, კაშია, ხალუქვაძე, კალანდაძე.

„შევარდენი-1906“: დოლიძე, ელიაშვილი, სამხარაძე (გვაზავა), ჩადუნელი, ბახტაძე, კოპალეიშვილი, (ხუხიტაშვილი), ტარტარაშვილი, ყიფიანი, ანჩაბაძე (მურმანიშვილი), ქობელაშვილი, მინაშვილი.

მსაჯები: დ. ხანაია (სოხუმი), მ. ჯულაყიძე (სამტრედია), ა. ჟიჟიაშვილი (მცხეთა).

გოლები: ამაშუკელი, კაშია, კალანდაძე.

გააფრთხილეს გ. ელიაშვილი.

დუბლიორები — 3:4.

### XVI ტური

**„იბერია“ (თბილისი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 3:2 (1:1)**

თბილისი. ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 11 ნოემბერი.

„იბერია“: ჩხეიძე, არზიანი, ჯამარაული (ინალიშვილი), შელია, კუდინოვი, რევიშვილი, ტყებუჩავა, ჩიქოვანი, კაჭარავა, ყაველაშვილი, შ. არველაძე.

„შევარდენი-1906“: დოლიძე, ელიაშვილი, ტარტარაშვილი, ჩადუნელი (სამხარაძე), ნადარეიშვილი, კოპალეიშვილი, ყიფიანი, შალამბერიძე, ანჩაბაძე, ქობელაშვილი, მინაშვილი.

მსაჯები: ე. სილაგავა, ვ. ჩოჩიშვილი (ორივე — თბილისი), ა. წერეთელი (ჭიათურა).

გოლები: ყაველაშვილი (36), ჩადუნელი (45), რევიშვილი (50), ანჩაბაძე (66), კაჭარავა (83).

გააფრთხილეს: კ. კაჭარავა, გ. ქობელაშვილი.

**„გურია“ (ლანჩხუთი) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:0 (2:0)**

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 11 ნოემბერი.

„გურია“: აბუსერიძე, ჩხაიძე, გუჯაბიძე, მიქაბერიძე, კვინტრაძე, ნემსაძე, ბარათაშვილი (ქურიძე), მეგრელაძე, კორძალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე.

„კოლხეთი“: ბერაძე, ვაშაკიძე, პაპკორია, დოლბაია, სამხარაძე, ალანია, ბაკურაძე, რუხაძე (ბულაშვილი), გვახალია, შენგელია, ჭიჭინაძე.

მსაჯები: შ. თომაშვილი (მცხეთა), ა. სამხარაძე (სოხუმი), მ. ჯულაყიძე (სამტრედია).

გოლები: კორძალიძე (9), უგრელიძე (41).

დუბლიორები — 0:0.

**„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 3:1 (0:0)**

ფოთი. „ფაზისის“ სტადიონი. 11 ნოემბერი.

„კოლხეთი-1913“: გვახალია, თიბილაშვილი, კაკაჩია, გიორგაძე, გიგატაძე, ქორჩილავა (შამათავა), ლალანიძე (ქუნთელია), ტორჩინავა, ხიჭინავა, გოროზია (ბაჯალაძე), ქობალია.

„მერცხალი“: გოგუა, წივწივაძე, ხამაშურიძე, მუავანაძე, ჩხაიძე, ავალიანი, ტულუში, ამაშუკელი (ჯიბლაძე), კაშია (გარდაფხაძე), ხალუქვაძე, ავალიანი.

მსაჯები: მ. მირცხულავა, ვ. გვიჩია (ორივე — ლანჩხუთი), გ. კალანდია (ზუგდიდი).

გოლები: ქობალია (59), გიორგაძე (64), ხიჭინავა (76), კალანდაძე (82).

დუბლიორები — 2:0.

**„ბათუმი“ (ბათუმი) — „დილა“ (გორი) 1:0 (0:0)**

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 11 ნოემბერი.

„ბათუმი“: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, დურდიაძე, მაჭუტაძე, ზედანია, ხომერიკი, ღლონტი, უჯმაჯურიძე, ტულუში, კანტიძე.

„დილა“: ჰანტურია, კონდრატიევი, მჭედლიშვილი, მელქაძე, თარხნიშვილი, შავდათუაშვილი, მარეხაშვილი, მიხანაშვილი, მარლიშვილი, ნეფარიძე, ხორგუაშვილი.

მსაჯები: გ. მიქაუტაძე, თ. მაჩიტაძე, პ. დოგრაშვილი (სამივე — ქუთაისი).

გოლი: მაჭუტაძე (75, 11 მეტრიანით).

გააფრთხილეს: ა. გოგიტიძე, გ. ჰანტურია.

გააძევეს ა. მიხანაშვილი.

**„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „გორდა“ (რუსთავი) 2:2 (2:0)**

ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი. 11 ნოემბერი.

„მარგვეთი“: დევაძე, ბებიაშვილი, გურიელიძე, მაჭავარიანი, ღონღაძე, გაგნიძე (კიკნაძე), რომელაშვილი (გაბრიჭიძე), ნახუაშვილი (ლანჩავა), ჯულელი, ინიაშვილი, ფაიქიძე.

„გორდა“: ქორიძე, ფირცხალავა, დიმიტრიშვილი, ლობჟანიძე, ქახრაშვილი (ალადაშვილი), თორლაშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ბურნაძე (ბაკურაძე), მიქაშავიძე.

მსაჯები: ლ. ჩიტაია, ნ. კილაძე, ზ. ცინცაძე (სამივე — თბილისი).

გოლები: ი. ჯულელი-2, ტ. კაპანაძე, გ. კილასონია.

გააფრთხილეს: ზ. ბაკურაძე, კ. ალადაშვილი.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იბერია“ (თბილისი) | 14 | 12 | 0 | 2 | 46-17 | 36 |
| „ცხუმი“ (სოხუმი) | 14 | 12 | 0 | 2 | 40-16 | 36 |
| „გორდა“ (რუსთავი) | 15 | 10 | 3 | 2 | 32-14 | 33 |
| „ოდიში“ (ზუგდიდი) | 15 | 10 | 2 | 3 | 27-18 | 32 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 14 | 10 | 1 | 3 | 37-18 | 31 |
| „სამტრედია“ (სამტრედია) | 15 | 8 | 1 | 6 | 27-25 | 25 |
| „შევარდენი-1906“ (თბილისი) | 14 | 7 | 1 | 6 | 23-20 | 22 |
| „მზიური“ (გალი) | 15 | 7 | 1 | 7 | 16-26 | 22 |
| „ქუთაისი“ (ქუთაისი) | 15 | 6 | 2 | 7 | 29-23 | 20 |
| „დილა“ (გორი) | 15 | 6 | 1 | 8 | 22-22 | 19 |
| „ბათუმი“ (ბათუმი) | 15 | 6 | 1 | 8 | 24-25 | 19 |
| „მრეტები“ (თბილისი) | 15 | 5 | 3 | 5 | 20-21 | 18 |
| „კოლხეთი-1913“ (ფოთი) | 15 | 5 | 3 | 7 | 17-22 | 18 |
| „სულორი“ (ვანი) | 15 | 5 | 2 | 8 | 23-31 | 17 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 14 | 5 | 0 | 9 | 13-24 | 15 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 15 | 4 | 2 | 9 | 13-32 | 14 |
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) | 15 | 4 | 1 | 10 | 19-24 | 13 |
| „მარგვეთი“ (ზესტაფონი) | 13 | 3 | 4 | 6 | 17-27 | 13 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 15 | 2 | 4 | 9 | 17-31 | 10 |
| „მერცხალი“ (ოზურგეთი) | 14 | 2 | 2 | 10 | 14-40 | 8 |


**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი**

(აკ. წერეთლის გამზ. № 2)

**15 ნოემბერი ● ფეხბურთი**

ეროვნული ჩემპიონატი (უმაღლესი ჯგუფი)

„მრეტები“ (თბილისი) — „გორდა“ (რუსთავი)

დასაწყისი 17 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 15 ნოემბერს, 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14 საათიდან 15 საათამდე). აქვე გაიყიდება სპორტლოტოს ბილეთები.


## რაგბი ● საქართველოს ჩემპიონატი

# უმაღ რუსთავს მიაშურეს...

პირველი ჯგუფი. 9.X. „ყოჩები“ (სტუ) — „აკადემია“ (სამხატვრო აკადემია) 27:3, „რუსთავი“ — „ვეხტა“ (თბილისი) 4:32; 23.X. „აია“ (ქუთაისი) — „ვეხტა“ 10:3, „იმერეთი“ (ჭიათურა) — „ყოჩები“ 17:6, „რუსთავი“ — „მიმინო“ (თბილისი) 9:11; 24.X. „აკადემია“ — „შევარდენი“ (აგრარული უნივერსიტეტი) 4:44, „ჯანი“ (ჩოხატაური) — „გელათი“ (ქუთაისი) 13:9; 27.X. „ჯანი“ — „ყოჩები“ 33:4. 30.X. „აია“ — „რუსთავი“ 60:0, „ვეხტა“ — „ჯანი“ 16:12, „შევარდენი“ — „იმერეთი“ 38:3; 31.X. „ყოჩები“ — „მიმინო“ 16:0.

მეორე ჯგუფი. 11.X. „ქორები“ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — „სათაფლია“ (წყალტუბო) 3:6, „შევარდენი-II“ — „ივერია“ (თბილისი) 0:41; 12.X. „სკოლა“ (ქუთაისი) — „უნივერსიტეტი“ (თბილისი) 9:18; 18.X. „თბილისი“ (სამედიცინო ინსტიტუტი) — „უნივერსიტეტი“ 9:9, „სათაფლია“ — „აიეტი“ (ქუთაისის უნივერსიტეტი) 10:14; 19.X. „ივერია“ — „რაში“ (ზოოვეტერინარული ინსტიტუტი) 4:6; 21.X. „ბუბა“ (ონი) — „სკოლა“ 0:6; 25.X. „უნივერსიტეტი“ — „სათაფლია“ 7:3, „შევარდენი-II“ — „ქორები“ 9:51, „აიეტი“ — „თბილისი“ 19:12; 26.X. „რაში“ — „ბუბა“ 32:10, „სკოლა“ — „ივერია“ 3:42. 1.XI. „თბილისი“ — „ივერია“ 22:20, „სათაფლია“ — „ბუბა“ 8:6; 2.XI. „ქორები“ — „უნივერსიტეტი“ 16:4, „სკოლა“ — „შევარდენი-II“ 15:16.

მსოფლიო თასის გათამაშებამ და საქართველოს სპორტულმა თამაშებმა, ცოტა არ იყოს, დაჩრდილეს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი. წინა მიმოხილვის შემდეგ, გასული სამი კვირის უმთავრესი საშინაო მოვლენა, რაღა თქმა უნდა, საქართველოს სპორტული თამაშების სარაგბო ტურნირი იყო, რუსთავში რომ გაიმართა. იქ ოდენ ოთხმა გუნდმა მოიყარა თავი — თბილისმა, იმერეთმა, ქვემო ქართლმა და რაჭამ. ასე იყო თუ ისე, მსოფლიო რაგბის კანონმდებლობით აკრძალული, ჩვენებურებისათვის კი სანატრელი ფულადი ჯილდოებისათვის, რუსთავში ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა. მასპინძელი — ქვემო ქართლის ნაკრები, ანუ იგივე „რუსთავი-1990“, ერთობ გაუძალიანდა ჯერ იმერეთს, შემდეგ კი — თბილისს. რაჭის ნაკრებიც, ფაქტობრივად, ერთი საკლუბო გუნდი — ონის „ბუბა“ იყო. ოღონდაც, ონელმა რაჭველებმა იაზრეს და ნაკრებში თბილისელი რაჭველებიც ჩარიცხეს. ამათი დახმარებით რაჭა მესამე ადგილისათვის, ანუ კაცზე 400 მანეთისთვის თამაშს ერთი ქულით უგებდა ქვემო ქართლს, მაგრამ, მატჩის ბოლ ათი წუთისთვის შემართება ველარ ეყო და წააგო.

თბილისის ნაკრებში „ვესტას“ ბირთვის გარდა, სამი შევარდენელიც თამაშობდა, იმერეთის გუნდს კი კურიოზი შეემთხვა. საქმე ისაა, რომ საქართველოს ჩემპიონი „აია“, დღენიადაგ ხელმოკლეობას რომ მისტირის, უცხოეთში მაინცდამაინც ეგზოტიკური ლონისძიების პერიოდში აპირებდა გამგზავრებას. ამის გამო, იმერეთის რაგბის ღირსების დაცვა იკისრა „გელათმა“, რომელსაც ამ გუნდის ყოფილი მორაგბე გიორგობიანი, აიელი ე. ძაგნიძე და ამიერიდან ჩოხატაურის „ჯანში“ მოთამაშე ნ. ძაგნიძე და ტურძელაძეც დაემატნენ. მერე გაირკვა, რომ „აიას“ საზღვარგარეთული „ვოიაჟი“ მოსკოვში ჩასვლით დამთავრდა. ჰოდა, კლუბის მოწინავე მოთამაშეებმაც უმალ რუსთავს მიაშურეს. მაგრამ რაღა დროს — იმერეთის ნაკრებს შეჯიბრების სტარტზევე ეთამაშებინა 21 მორაგბე, დებულებით კი სულ 22-ის გამოყვანის უფლება ჰქონდა. ეს ერთადერთი ვაკანსია მაჩიტიძეს ერგო, მაგრამ ერთობ მწვავე, დროდადრო კი დაუნდობელ და შარიან თამაშში იმერეთი ორჯერ 6 ქულამდეც წამოეწია დაწინაურებულ თბილისს, მაგრამ საბოლოოდ 12:28 წააგო.

ამ თამაშიდან კვირის თავზე „აიამ“ უკვე ჩემპიონატის პროგრამით უმასპინძლა „ვესტას“ და ოდიშარიას ლელოთი და მაჩიტიძის ორი საჯარიმოთი სამაგიერო გადაუხადა. ორი თამაში მოიგო აიელთა ძველი თაობის ახლანდელმა ნავსაყუდელმა „ჯანმაც“. „მიმინომ“ ცოტა მოულოდნელად სტუმრად სძლია „რუსთავს“, „ყოჩები“ კი, ვიდრე „მიმინოს“ მოუგებდნენ, ჭიათურაშიც დამარცხდნენ და ჩოხატაურშიც.

მეორე ჯგუფს ლიდერობენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ქუთაისის უნივერსიტეტის გუნდები. ქუთათურები აქამდე სულ ლიხსიქით თამაშობდნენ. სამაგიეროდ, ლიხსაქეთ, ვარკეთილში, „ივერია“ — „რაშის“ თამაშში იშვიათი რამ მოხდა: შესვენებაზე ივერიელები მეტოქის მოთამაშე-მწვრთნელ ცინცაძეს შეებნენ. თამაში ჩაიშალა, რაც „ივერიას“ ხუთი (!) მოთამაშის ხუთ-ხუთთამაშიან, „რაშს“ კი — მოთამაშე-მწვრთნელის ორთამაშიან დისკვალიფიკაციად დაუჯდათ. „ივერია“ ერთი ქულითაც დაჯარიმდა. იგივე სასჯელი დაეკისრა „სათაფლიას“, რომელსაც „აიეტთან“ წაგებულ მატჩში თითო განუცხადებელი და დისკვალიფიცირებული მორაგბე უთამაშებია.

დასასრულ, ბოლო ტურების უდაოდ საუკეთესო თამაშის შესახებ. იგი მეორე ჯგუფში მოასპარეზე „თბილისმა“ და „ივერიამ“ გამართეს. თავიდან „თბილისი“ დაწინაურდა — 3:0, შემდეგ „ივერია“ — 10:3, მე-60 წუთზე — კვლავ „თბილისი“ 12:10, თამაშის ბოლო ათ წუთში კი ოთხი ლელო გავიდა, მაგრამ „ივერია“ მეტოქეს ველარ დაეწია — 20:22. „ივერიის“ ლელოები ხვიჩიამ, ბრეგვაძემ (2) და ნატროშვილმა გაიტანეს; მანვე ორი მათგანი გარდასახა. „თბილისიდან“ გეგელაშვილმა შეაგდო სამი საჯარიმო და ერთი გარდასახვა, სვანიძემ — არეკნი, კილაძემ და ურუშაძემ კი ლელოები გაიტანეს.

**გათამაშების ცხრილები**

**პირველი ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „აია“ | 4 | 4 | 0 | 0 | 139:12 | 8 |
| „ვესტა“ | 5 | 4 | 0 | 1 | 149:36 | 8 |
| „შევარდენი“ | 4 | 3 | 0 | 1 | 105:34 | 6 |
| „ჯანი“ | 4 | 3 | 0 | 1 | 89:39 | 6 |
| „ყოჩები“ | 5 | 2 | 0 | 3 | 63:73 | 4 |
| „მიმინო“ | 4 | 2 | 0 | 2 | 33:59 | 4 |
| „გელათი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 40:61 | 2 |
| „რუსთავი“ | 5 | 1 | 0 | 4 | 48:147 | 2 |
| „იმერეთი“ | 4 | 1 | 0 | 3 | 43:126 | 2 |
| „აკადემია“ | 4 | 0 | 0 | 4 | 16:133 | 0 |

**მეორე ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქორები“ | 5 | 4 | 1 | 0 | 134:28 | 9 |
| „აიეტი“ | 4 | 4 | 0 | 0 | 98:32 | 8 |
| „რაში“ | 3 | 3 | 0 | 0 | 58:23 | 6 |
| „თბილისი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 73:66 | 5 |
| „ივერია“ | 5 | 3 | 0 | 2 | 134:34 | 5 |
| „უნივერს.“ | 6 | 2 | 1 | 3 | 50:72 | 5 |
| „სათაფლია“ | 4 | 1 | 1 | 2 | 27:33 | 2 |
| „სკოლა“ | 6 | 1 | 0 | 5 | 30:165 | 2 |
| „შევარდ.“ II | 5 | 1 | 0 | 4 | 28:187 | 2 |
| „ბუბა“ | 5 | 1 | 0 | 4 | 29:68 | 2 |

**ზაზა ფხაკაძე**

# წიგნი დიდოსტატზე

**ბორის პაიჭაძის** სახელს განსაკუთრებული ეპითეტები არ სჭირდება. იგი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად, ვინც ფეხბურთის მოყვარულთა ყველა თაობის გულებში ერთნაირად დაიმკვიდრა ადგილი — მათ შორისაც, ვისაც ენახა „ფეხბურთის კარუზოს“ თავბრუდამხვევი თამაში და მათშიც, ვინც ბორის პაიჭაძეს მხოლოდ ტყავის ბურთის ლეგენდად იცნობდა. ქართული ფეხბურთის ეს რაინდი ერთბაშად იქცა ვაჟკაცობის, ქედშეუხრელობის, კაცობის ეტალონად. ასეთ ადამიანებს ხალხი არ ივიწყებს. მისი სახელი თაობიდან თაობას მოწიწებითა და დიდი პატივისცემით გადაეცემა.

ჟურნალისტ ოთარ გაგუას წიგნშიც „ბორის პაიჭაძე“, რომელიც ხელახლა გამოიცა საინტერესო დამატებებით (მისი ტირაჟი ასი ათასი ეგზემპლარია), ცნობილი სპორტსმენის, ცხოვრების არაერთი საინტერესო ეპიზოდია ასახული. ვისაც არ უნახავს თბილისის „დინამოს“ კაპიტნის ბრწყინვალე თამაში, ვინც ვერ დატკბარა მის მიერ გატანილი გოლებით, ვისაც ცოტა სმენია ამ დიდებული ადამიანის მიერ განვლილ არცთუ ია-ვარდით მოფენილ გზაზე, და, რაც მთავარია, ვისაც უყვარს ფეხბურთი, მისთვის ეს წიგნი ნამდვილად კარგი საჩუქარია.

ბორის პაიჭაძე ის ადამიანი იყო, ვის კვალზეც თაობები უნდა ალიზარდნონ, მისი სახელის უკვდავსაყოფად ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. ოთარ გაგუას წიგნი ამ საქმეში ერთი მოწიწებული ნაბიჯია.

**ზურაბ ქირია**

## კასპაროვის დამარცხდა

**ჰოლანდიის** ქალაქ ტილბურგში დამთავრებულ მოჭადრაკე ვაქეთა დიდი საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი (იქ ყველას აჯობა მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა), საფრანგეთს ეწვივნენ და ამ ქვეყანაში კიდევ ერთი საერთაშორისო ტურნირი გამართეს, პარტიათა რეგლამენტი მხოლოდ 50 წუთით განისაზღვრებოდა. საბოლოოდ, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კასპაროვი და ჰოლანდიელი იან ტიმანი. მოხდა ისე, რომ ორი პარტიის მერე, ანგარიში თანაბარი იყო, ამიტომაც დაინიშნა გადამწყვეტი პარტია. აქ ტიმანმა დაამარცხა მეტოქე და პირველი პრიზი — 71,5 ათასი დოლარი დაიმსახურა. კასპაროვი ამ თანხის ნახევარს დასჯერდა. დავძენთ, რომ გამარჯვებულმა ტიმანმა ფინალამდე მოუგო ამერიკელ გატა კამსკის, ანატოლი კარპოვსა და ინდოელ ვიშვანათან ანანდს.

## „სპორტლოტო"

**გაიმართა** „სპორტლოტოს" 1991 წლის 45-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45":** 4 (კრივი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 28 (ტყვიის სროლა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 42 (ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5 36":** 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 10 (წყალბურთი), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 21 (ცურვა), 31 (ფარიკაობა).

• • •

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1991 წლის 43-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45":** ტირაჟში დაშვებულია 1.745.158 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. ამ ჯგუფისთვის განკუთვნილი მოსაგები ფონდი 43.629 მანეთი დაემატება 44-ე ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს, რომელიც გაიზარდა 213.358 მანეთამდე. 5 ნომრის გამოცნობისთვის (37) მოგება 2.952 მანეთია, ოთხისთვის (1.996) — 142.

საქართველოში: დაშვებულია 23.466 ვარიანტი. 6-0, 5-0, 4-37.

**„სპორტლოტო 5 36":** ტირაჟში დაშვებულია 11.127.820 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (52) მოგება 10.698 მანეთია, ოთხისთვის (6.388) — 138, სამისთვის (167.354) — 8.

საქართველოში: დაშვებულია 181.992 ვარიანტი. 5-2, 4-127, 3-2.893.

43-ე და 34-43 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 16 ნოემბრიდან 16 დეკემბრის ჩათვლით.

## „სპორტპროგნოზი"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 1991 წლის 43-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 1.809.572 ვარიანტი.

13 შედეგი — არავის გამოუცვნია

12 შედეგი — 4 — 22.619 მანეთი;

11 შედეგი — 75 — 4.825 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 43.995 ვარიანტი. 13-0, 12-0, 11-7.

• • •

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტპროგნოზის" „6-C" სპეციალური ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 1.118.024 ვარიანტი.

13 შედეგი — არავის გამოუცვნია;

12 შედეგი — 1 — 55.901 მანეთი;

11 შედეგი — 30 — 7.453 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 51.333 ვარიანტი. 13-0, 12-0, 11-0.

43-ე და „6-C" სპეცტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 16 ნოემბრიდან 16 დეკემბრის ჩათვლით.

## ანდრო ლონლაძე



გარდაიცვალა წარსულში ცნობილი მოჭადრაკე, საქართველოს მოჭადრაკეთა სამედიცინო სამსახურის თავკაცი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ანდრო ნიკოლოზის ძე ლონლაძე.

ანდრო ლონლაძე დაიბადა 1917 წლის 5 მარტს, თბილისში. უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღებისთანავე გაიწვიეს ფრონტზე, სადაც ბოლომდე დაჰყო. მაიორი შინ ჯილდოებით დაბრუნდა. მალე ქირურგად დაიწყო მუშაობა თბილისში. პარალელურად აქტიურად ჩაება რესპუბლიკის საჭადრაკო ცხოვრებაში. მას ბავშვობიდან იტაცებდა ამ ბრძნული თამაშის საიდუმლოება. 40-იანი წლების მეორე ნახევარში ხშირად მონაწილეობდა თბილისისა და საქართველოს ჩემპიონატებში, იყო მათი მთავარი მსაჯიც. 1948 წელს მიიწვიეს საქართველოს ნაკრებში, ლენინგრადში პირველ საკავშირო გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. 1958 წელს სპორტსაზოგადოება „მედიკის" ჩემპიონი გახდა.

მრავალი წელი იგი თბილისის მე-4 საავადმყოფოს მთავარ ექიმად მუშაობდა. 1966 წელს საქართველოს დამსახურებული ექიმის წოდება მიენიჭა. 1975 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს მოჭადრაკეთა სამედიცინო სამსახურს.

წავიდა ამ წუთისოფლიდან ღვაწლმოსილი მამულიშვილი. მეხსიერებაში იგი დაგვრჩება, როგორც ჭეშმარიტი პროფესიონალი, მაღალი კვალიფიკაციის დასტაქარი, მკურნალი და ქართული ჭადრაკის ერთგულების მსახური. კეთილი და ყურადღებიანი კარგი მეოჯახე ბატონი ანდრო არასოდეს დაავიწყდებათ მათ, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან შეხვედრის ბედნიერება.

**საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმი**

---

„სპორტპროგნოზი", 47-ე ტირაჟის პროგრამა (22-24 ნოემბერი)

| | | პროგნოზი | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სსრკ ჩემპიონატი ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 1. „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი) — „დინამო" (მოსკოვი) | 22.XI | 40 | 20 | 40 | 1 |
| 2. „ავანგარდი" (ომსკი) — „ტორპედო" (უსტ-კამენოგორსკი) | 23.XI | 60 | 30 | 10 | 2 |
| 3. „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი) — „ავტომობილისტი" (ეკატერინბურგი) | 23.XI | 80 | 10 | 10 | X |
| 4. „კრილია სოვეტოვი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (იაროსლავლი) | 23.XI | 80 | 10 | 10 | 1 |
| 5. „ტორპედო" (ნიჟნი ნოვგოროდი) — „იტილი" (ყაზანი) | 23.XI | 50 | 30 | 20 | X |
| 6. „ლადა" (ტოლიატი) — „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი) | 24.XI | 60 | 10 | 30 | 2 |
| 7. ცსკა — სკ „რიგა" | 24.XI | 80 | 10 | 10 | 1 |
| 8. „სოკოლი" (კიევი) — „დინამო" (მინსკი) | 24.XI | 20 | 20 | 60 | X |
| **სსრკ ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 9. სკა (ხაბაროვსკი) — „დინამო" (ალმა-ათა) | 23.XI | 60 | 10 | 30 | 1 |
| 10. „ლოკომოტივი" (ირკუტსკი) — „ზორკი" (კრასნოგორსკი) | 23.XI | 40 | 10 | 50 | X |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | | |
| 11. „ფიორენტინა" — „ლაციო" | 24.XI | 70 | 20 | 10 | X |
| 12. „ფოჯა" — „ატალანტა" | 24.XI | 10 | 50 | 40 | 1 |
| 13. „რომა" — „სამპდორია" | 24.XI | 20 | 60 | 20 | X |

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 16 ნოემბერს.

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

---

## „სპორტპროგნოზი"

**45-ე ტირაჟის შედეგები**
**(8-10 ნოემბერი)**

1—1, 2—1, 3—X, 4—1, 5—1, 6—1, 7—1, 8—1, 9—X, 10—X, 11—X, 12—1, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად

1. სოციალურ-ჰუმანიტარული მეცნიერებების კათედრაზე: დოცენტის ერთი ერთეული — ფილოსოფიურ მეცნ. კანდიდატი; უფროსი მასწავლებელი ერთი ერთეული — ეკონომიკ. თეორიის სპეციალობით.

2. ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის კათედრაზე: პროფესორის ერთი ერთეული — სპორტის ფიზიოლოგიის სპეციალობით; უფროსი მასწავლებელი 0,5 ერთ. — ბიოქიმიის სპეციალობით, რუსული სექტორი;

3. ანატომიის კათედრაზე დოცენტის 1,5 ერთეული — ბიოლ. მეც. კანდიდატი.

4. ფსიქოლოგიის და პედაგოგიკის კათედრაზე უფროსი მასწ. 0,5 ერთეული — ფსიქოლოგიის სპეციალობით.

5. ტანვარჯიშის კათედრაზე: დოცენტის ერთი ერთეული — სპ. ტანვარჯიშის სპეციალობით. უფროსი მასწავლებელი ერთი ერთეული — მხატვ. ტანვარჯიშის სპეციალობით.

6. მძლეოსნობის კათედრაზე დოცენტის ერთი ერთეული — პედ. მეც. კანდიდატი.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა. ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში.

ტელ: 22-09-02.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი №49.

**რექტორატი**

## „სპორტლოტოს" მოყვარულთა საყურადღებოდ!

**24 ნოემბერს,** „სპორტლოტოს" 47-ე ტირაჟის პარალელურად ჩატარდება „სუპერტირაჟი" — „სპორტლოტო 6 45" და „სპორტლოტო 5 36" სპეციალური ტირაჟები.

„სუპერტირაჟში" მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ 10-ტირაჟიანი ბილეთები, რომელთა ღირებულება 10 მანეთია. ტირაჟში ისინი ითამაშებენ ათმაგად.

„CT-4 სუპერტირაჟში" დამატებით გათამაშდება 1990 წლის სარეზერვო მოსაგები ფონდის ნარჩენი 300.000 მანეთის ოდენობით. „სპორტლოტო 6 45" მოსაგებ ფონდს დაემატება 100.000 მანეთი, „სპორტლოტო 5 36" — 200.000 მანეთი.

სპეციალურ ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად ბილეთის სამივე ნაწილში უნდა გადაიხაზოს ასო „B" და ტირაჟის ნომრის მიმანიშნებელ უჯრაში ჩაიწეროს „CT-4".

„სუპერტირაჟის" ბილეთები მიიღება 47-ე ტირაჟის ბილეთების მიღების ვადებში.

„სუპერტირაჟში" მოგებულად ითვლება შემდეგი ბილეთები: „სპორტლოტო 6 45" — 6, 5, 4 ნომრის გამოცნობისთვის; „სპორტლოტო 5 36" — 5, 4, 3 ნომრის გამოცნობისთვის.

მოსაგები ფონდი ჯგუფების მიხედვით ნაწილდება დადგენილი წესით: თუ პირველ ჯგუფში მოგება არ არის, მოსაგები ფონდი გადადის მეორე ჯგუფში და ა. შ.

იმ ბილეთების მფლობელთათვის, რომლებიც გამოიცნობენ 6 და 5 ნომერს „სპორტლოტო 6 45"-ში და 5 ნომერს „სპორტლოტო 5 36"-ში დაწესებულია შეღავათი „ჟიგულის" მარკის 10 ავტომობილის ურიგოდ შესაძენად.

იმ ბილეთების მფლობელთათვის, რომლებიც გამოიცნობენ 4 ნომერს „სპორტლოტო 5 36"-ში დაწესებულია შეღავათი 25 ფერადი ტელევიზორი „ტემპის" (ფასი 1575 მანეთი გაყიდვიდან ბეგარის გათვალისწინებით) და 50 ელექტრომტვერსასრუტი „ციკლონის" (ფასი 210 მანეთი გაყიდვიდან ბეგარის და „როსპოსილტორგის" საშუალებით გადაგზავნის ხარჯების გათვალისწინებით) ურიგოდ შესაძენად.

გათამაშებისა და ნივთიერი მოგებების მიღების წესები დაწვრილებით დაბეჭდილია გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" (31 ოქტომბერი, 1991 წელი).

გიწვევთ „სუპერტირაჟში" მონაწილეობის მისაღებად და გისურვებთ წარმატებას!

**„საქსპორტლოტო".**

### სპორტული ლატარიების მონაწილეთა საყურადღებოდ!

**1992** წლისთვის მსუბუქი ავტომობილების ფონდების უქონლობის გამო, 1991 წლის 44-ე ტირაჟიდან დაწყებული შეწყდება ავტომობილების ურიგოდ შეძენის უფლებების გაფორმება როგორც ლატარია „სპორტპროგნოზში", ასევე ლატარია „სპორტლოტოში".

**გაერთიანება „სოიუზსპორტლოტო"**

### გიწვევთ საერთაშორისო კონკურსზე

**საქართველოს** ჭადრაკის ფედერაცია აწყობს საერთაშორისო დიდოსტატის გია ნადარეიშვილის პირველ საერთაშორისო მემორიალს საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში. კონკურსი ტარდება ორ განყოფილებად — ეტიუდები მოგებაზე და ეტიუდები ყაიმზე. კონკურსის მსაჯია საერთაშორისო დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში დავით გურგენიძე.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფულადი ჯილდოები თითოეულ განყოფილებაში. პირველი პრიზი — 500 მანეთი, მეორე — 300, მესამე — 200. სპეციალური პრიზებისთვის გამოყოფილია 500 მანეთი.

ეტიუდები გამოგზავნეთ არაუგვიანეს 1992 წლის 30 აპრილისა შემდეგ მისამართზე: 380009. თბილისი, მერაბ კოსტავას 37, ჭადრაკის სასახლე. წარწერით: „გ. ნადარეიშვილის პირველი მემორიალი".




**კვირას, 17** ნოემბერს, თბილისის იპოდრომზე საქართველოს სირბილის მოყვარულთა ასოციაცია აწყობს საშემოდგომო კროსს 5 და 10 კმ დისტანციებზე.

კროსის მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყება 10 საათზე იპოდრომის ტრიბუნებთან. სტარტი 12 საათზე.

გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიებით და ფასიანი საჩუქრებით.

კროსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს ასაკის მიუხედავად.

გთხოვთ, მობრძანდეთ.

**საქართველოს სირბილის მოყვარულთა ასოციაცია.**

### თბილისის „შევარდენის" სტადიონი

(ბ. ხმელნიცკის ქ. № 40)

**15 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

საქართველოს ჩემპიონატი (უმაღლესი ჯგუფი)

„შევარდენი-1906" (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი)

დასაწყისი 14 საათზე

დუბლშემადგენლობათა მატჩი გაიმართება 14 ნოემბერს 14 საათზე ამავე სტადიონზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 10 საათიდან.

---

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების მუდმივი ექიმი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი

**ანდრო ნიკოლოზის ძე ლონლაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭო თანაგრძნობას უცხადებს ნუკრი ლონლაძეს მამის

**ანდრო ლონლაძის**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია და ქუთაისის რაგბის ვეტერანთა კავშირი იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ვეტერანი მორაგბე, ქუთაისის რაგბის პირველი თაობის წარმომადგენელი

**მერაბ ალექსანდრეს ძე ბეხელია**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

---

თბილისის „დინამოსა" და ყოფილი „სპარტაკის" ვეტერანი ფეხბურთელები თანაგრძნობას უცხადებენ ავთანდილ პაიჭაძეს მეუღლის

**ქეთევან ესტატეს ასული ეპიტაშვილი-პაიჭაძის**

გარდაცვალების გამო.

„ლელოს" რედაქცია განუზომლად მადლიერია საქართველოს რესპუბლიკის პრესის კომიტეტის.
„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი, კორექტორები: ქ. ქავთარაძე, ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380000
თბილისი, მ. კოსტავას, 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სპორტულ განყოფილება — 98-87-55
სამდივნო — 98-87-58
ინფორმაციის განყოფილება — 98-87-56
„მერანი" — 93-87-90, „მთიები" — 93-87-87

ინდექსი INDEX ИНДЕКС 66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გვაქვს. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კომპლექსში. შეკვეთა №, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.